კიდევ ერთი ქართული სირცხვილი!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

სამშაბათი, 14 თებერვალი. 2017 წ. №34 (8171), გამოცემის 99-ე წელი | ფასი 50 თეთრი.

როდემდე პოლიტიკური დოყლაპიობა?!

გიორგი მამალაძე ციანიდით მაღალი სასულიერო პირის მოწამვლას აპირებდა!!!

საპატრიარქოს ქონების მართვის უფროსის გიორგი მამალაძის დაკავებასთან დაკავშირებით პროკურატურაში განცხადება გაკეთდა.

„10 თებერვალს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საფუძველზე მკვლელობისთვის დაკავებული იქნა გიორგი მამალაძე. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2017 წლის 2 თებერვალს მოქალაქის მომართვის საფუძველზე“, — განაცხადეს პროკურატურაში.

მათი განცხადებით, როგორც გაირკვა, მამალაძე გერმანიაში აპირებდა გამგზავრებას და მან გამგზავრებამდე მომწამლავი ნივთიერება ციანიდი შეიძინა მაღალი სასულიერო პირის მოსაწამლად. პროკურატურის ცნობით, ინფორმაცია მათ ერთ-ერთმა მოქალაქემ მიაწოდა, რომელსაც მამალაძემ მომწამლავი ნივთიერების მოპოვება დაუკვეთა.

„მამალაძემ შეძლო სიცოცხლისათვის საშიში მომწამლავი ნივთიერების ციანადის მოპოვება, რითაც უნდა მოეხდინა მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მოწამვლა. გარდაუვალი იქნებოდა სასიკვდილო შედეგი,“ — ნათქვამია განცხადებაში.

პროკურატურის ინფორმაციით, აეროპორტში დაკავებისას ციანიდი მამალაძეს აღმოუჩინეს, სახლში კი იპოვეს ცეცხლსასროლი იარაღი. მამალაძე პატიმრობაში იმყოფება, ის დანაშაულს არ აღიარებს!

* * *

...როგორც დგინდება, დეკანოზ გიორგი მამალაძეს, რომელიც ამავდროულად იყო შპს „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორი, სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა კათოლიკოს-პატრიარქთან და მის უახლოეს გარემოცვასთან. გამოძიების ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ გ.მამალაძე ამზადებდა ერთ-ერთი პირის მკვლელობას, სწორედ ამ მიზნით შეიძინა მან გამოძიებით ამ ეტაპზე დაუდგენელი პირისგან შხამიანი ნივთიერება ციანიდი, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც გარდაუვალი იქნებოდა სასიკვდილო შედეგი და სისრულეში იქნებოდა მოყვანილი ბრალდებულის დანაშაულებრივი განზრახვა.

2017 წლის 10 თებერვალს საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების გერმანიაში გამგზავრებამდე — თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა გიორგი მამალაძე, ხოლო მისი ბარგის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ფარულად შენახული შხამიანი ნივთიერება — „ნატრიუმის ციანიდი“.

გამოძიების ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, მთავარი პროკურატურა მუშაობს რამდენიმე ვერსიაზე და ყველა მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

2017 წლის 12 თებერვალს საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით გიორგი მამალაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-108-ე და 236-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე...

* * *

არსებული ინფორმაციით, საპატრიარქოს ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მამა გიორგი მამალაძე ამ დროისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გადაყვანილი. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე შეეფარდა. მამა გიორგი მამალაძე სამი დღის წინათ აეროპორტში დააკავეს. ის ბერლინში პატრიარქთან გამგზავრებას გეგმავდა. უცნობია, რას უკავშირდება მისი დაკავება. საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ადევს.

თემის გაგრძელება

იხ. 2 გვ.

პატრიარქის ოპერაცია წარმატებით დასრულდა, მდგომარეობა სტაბილურია!

კათოლიკოს-პატრიარქის ოპერაცია დასრულდა. როგორც ჟურანლისტებს პატრიარქის ექიმმა ცისანა შარტავამ და გერმანელმა პროფესორმა განუცხადეს, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. პატრიარქის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ის პოსტოპერაციულ პალატაში იმყოფება.

ნაციონალური მოძრაობა (ახლა უკვე ორ ფრონტად გაყოფილი) რა მავნე, ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობაც არის, დღეს უკვე ყველა საღი გონების მოქალაქისთვის ცხადზე ცხადია. როგორც იტყვიან, აიწყვიტეს, თავი აიშვეს და აღარც მალავენ თავიანთ ბოროტ განზრახვას, რომ მომავალ არჩევნებამდე ვერ დაიცდიან და ყველა მზაკვრულ, ვერაგულ, მოღალატურ ხერხს მიმართავენ, რათა „ივანიშვილის რეჟიმი“ საბოლოოდ დაამხონ და ძვეყანა გაათავისუფლონ უუნარო და უნითო „ოცნებისგან“.

ძველი ქართველის ნათქვამია, შენი თავზე ხელაღებულობა ჩემი სიბეჩავის ბრალიაო. სწორედ ასეთ ვითარებაში გვიხდება დღეს ცხოვრება „ოცნების“ საკეთილდღეო იმედზე მყოფ ქართველ საზოგადოებას, რომელიც მეხუთე წელიწადია, რაც ახალი ხელისუფლების მხრივ მეტ პრინციპულობას, მეტ კანონიერ სახელმწიფოებრივ სიმკაცრეს მოელის ყველა ეგრეთ წოდებული ოპოზიციური ძალის მიმართ, რომელთაც სულ ფეხებზე ჰკიდიათ ქვეყანაც, ხალხიც და მხოლოდ ხელისუფლებაში ძალისმიერად დაბრუნებისთვის არანაირ პოლიტიკურ სიბინძურეზე არ ამბობენ უარს.

როგორც ჩანს, ამჟამინდელ ხელისუფლებას მტრულად განწყობილი მეტოქის წინააღმდეგ „წითელი კოჭის გორება“ დემოკრატიის დამკვიდრების გზა ჰგონია. არადა, ასეთმა აშკარად მცდარმა თანაარსებობის პოლიტიკამ გარდა იმისა, რომ სახელი გაუტეხა „ოცნებას“, იმედი გაუცრუა საზოგადოების დიდ ნაწილს, რასაც ჩვეული პროვოკაციული, დემაგოგიური, ბინძური, უკადრისი ხერხებით ყოველდღიურად სულ უფრო აღვივებენ ანტიქართული იდეოლოგიით მოწამლული ნაციონალები, რომელთაგან გულუბრყვილოთა მოსაღორებლად ზოგმა „ევროპული საქართველო დაირქვა“, ზოგმა „გირჩი“, ზოგმაც „ახალი საქართველო“, მაგრამ მიზანი ყველას ერთი აქვს — „ოცნების“ განიორწყლება და პოლიტიკური სიკვდილი.

დიდად დასანანი და გასაოცარი ის არის, რომ მავნე ნაციონალთა ამ ანტიეროვნული, ანტიხალხური მიზნის მიღწევაში ამ ვითომ ოპოზიციას, საბედისწეროდ ხელისუფლების კრიტიკაში ჩამდგარს, თავისდა უნებურად ხელს უწყობს თვითონ „ოცნების“ ხელისუფლება, სათქმელი უნდა ითქვას, თავისი პოლიტიკური დოყლაპიობით.

სწორედაც ამ პოლიტიკური დოყლაპიობის ცხადი მაგალითია 2012 წლის არჩევნების შემდეგ სამართლიანობის აღდგენის პროცესის უსაშველოდ გაჯანჯლება-გაჭიანურება.

ამ გაჯანჯლება-გაჭიანურების ცხადი მაგალითი კი „რუსთავი-2“-ის საქმეა — ეს სათვალმჩენოდ მტრული არხი, რომელიც დაუძლეველ მუხრუჭად იქცა ქვეყნის განვითარების გზაზე, თავის თვითმარქვია, გავირთამამებული, წვერცანცარა დირექტორის მხარზე გადაკიდებული ენით, როგორც ჩანს, შიშის ზარსა სცემს „ოცნების“ ხელისუფლებას, რომელიც ამ ძველი ცოდვებით დამძიმებული ერთი კაცის მიმართ მეხუთე წელიწადია, სამარცხვინოდ ღობე-ყორეს ედება და კანონიერება ვერ აღუსრულებია.

ცალკე უნდა აღინიშნოს არასამთავრობოების ყოველგვარ საზღვარს გადასული თავხედობა. ხალხი გაუგებრობაშია, ვერ გაუგია, ვინ მართავს ქვეყანას — მთავრობა თუ არასამთავრობოები, რომელთაც „რუსთავი-2“ წინამძღოლობს ძებნილი, ავადმყოფი, შანტაჟისტი სააკაშვილის დანიშნული ფრიად საეჭვო პიროვნების მეთავეობით.

ეს მერამდენედ ვიმეორებთ, დოყლაპიობის, უუნარობისა და უგერგილობის დრო აღარ არის.

ჩვენ ერთხელ უკვე ვწერდით და კიდევ უნდა გავიმეოროთ: „ოცნების“ ხელისუფლებავ, თუ ხელისუფლება ხარ, იყავი ხელისუფლება, თორემ ხვალ ძალიან გვიანი იქნება თითზე კბენანი!

ჯანსულ ჩარკვიანი:

შეეშვით ლანძღვა-გინებას



3

პრემიერ-მინისტრი: ყველაზე უდიდესი უბედურება ავიცილეთ თავიდან

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ აღკვეთილია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დაგეგმილი დანაშაული — ეკლესიის წინააღმდეგ ვერაგული თავდასხმა.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სამართალდამცავ სტრუქტურებს, რომ იმუშავეს ოპერატიულად, ეფექტურად, ზედმეტი ხმაურის გარეშე და მათ თავიდან აგვაცილეს ეს დიდი უბედურება.

პირველივე წუთებიდან, როგორც კი სამართალდამცავებმა მომაწოდეს ინფორმაცია, ეს საქმე, ბუნებრივია, აყვანილი მაქვს პირად კონტროლზე და, პრაქტიკულად, უწყვეტ რეჟიმში ვიღებ ინფორმაციას.

გამომდინარე შექმნილი არაორდინარული ვითარებიდან, ბერლინში გავაგზავნე ჩემი პირადი დაცვის წევრები დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსთან ერთად, რათა ადგილზე გაძლიერებული ყოფილიყო უსაფრთხოების ზომები.

ძალიან მნიშვნელოვანია გამოძიების პროფესიონალურად წარმართვა და ბოლომდე მიყვანა.

ილჰამ ალიევს შეხვდა მიხეილ ჯანელიძე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, რა დროსაც შეხვედრა გამართა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან.

შეხვედრაზე მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოსა და აზერბაიჯანის კეთილმეზობლური და სტრატეგიული ურთიერთობები, რაც წარმოადგენს კარგ საფუძველს თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის. აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრაზე განხილული იქნა ორმხრივი ურთიერთობებისა და რეგიონალური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები.

განსაკურებით ხაზი გაესვა ურთიერთობების განვითარების დიდ პოტენციალს, როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით.

განსაკუთრებით აღინიშნა საქართველო-აზერბაიჯანის მონაწილეობით მიმდინარე სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტების მნიშვნელობა.

მხარეები შეთანხმდნენ განაგრძონ მჭიდრო თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტის და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ეფექტური რეალიზაციის მიმართულებით. აღინიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პროექტებს არა მხოლოდ ორი ქვეყნის, არამედ რეგიონისთვის. მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა ქვეყნებს შორის შენარჩუნდეს მაღალი დონის დიალოგი და ხელი შეუწყონ ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

პრეზიდენტი: ველოდებით დროულ პასუხებს, როგორც დანაშაულის შესაძლო მონაწილეების, ასევე შემკვეთების თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებას ეხმიანება და აცხადებს, რომ გამოძიების დროულ დასრულებას ელოდება.

„შეშფოთებული ვარ მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომლის მიხედვითაც იგეგმებოდა საქართველოს მაღალი იერარქიის სასულიერო პირის სიცოცხლის ხელყოფა.

ჩვენ აქტიურ კომუნიკაციაში ვართ პროკურატურასთან, ვაკვირდებით გამოძიების პროცესს, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ველოდებით გამოძიების დროულად დასრულებას, რომელიც გასცემს პასუხს კითხვებს, როგორც დაგეგმილი დანაშაულის შესაძლო მონაწილეების, ასევე შემკვეთების თაობაზე“.

პარლამენტის თავმჯდომარე: მადლობა მინდა, გადავუხადო სამართალდამცავ ორგანოებს ძალიან მძიმე დანაშაულის გახსნისთვის

ირაკლი კობახიძე ბიუროს დღევანდელ სხდომაზე დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავებას გამოეხმაურა და სამართალდამცავ ორგანოებს მადლობა გადაუხადა. მან იმედი გამოთქვა,რომ გამოძიება ბოლომდე მივა. **„მადლობა მინდა, გადავუხადო სამართალდამცავ ორგანოებს ძალიან მძიმე დანაშაულის გახსნისთვის. იმედი მინდა გამოვთქვა, რომ ბოლომდე მივა გამოძიება და საბოლოოდ გაიხსნება ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე...ძალიან კარგია, რომ წარმატებით ჩაიარა ოპერაციამ. მინდა, პატრიარქს მალე გამოჯანმრთელება ვუსურვო“** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კახა კალაძე: ეს იყო კარგად გათვლილი გეგმა

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავების ფაქტს ეხმიანება და აცხადებს, რომ ეს იქნებოდა უმძიმესი დარტყმა საქართველოზე.

„უმძიმესი დანაშაული ავიცილეთ. ეს იყო კარგად გათვლილი გეგმა. ეს არ იქნებოდა დარტყმა მხოლოდ ეკლესიაზე, მხოლოდ მართლმადიდებლებზე, ეს იქნებოდა დარტყმა საქართველოზე, ქვეყნის ინსტიტუტებზე, ქვეყანაში მშვიდობაზე. ყველა უმკაცრესად დაისჯება“, — ამბობს ენერგეტიკის მინისტრი.

კალაძე უსაფრთხოების სამსახურს და პროკურატურას მადლობას უხდის.

ნაციონალური ზოოპარკის „ლიდერი“ დავით ნარმანიას ულტიმატუმს უყენებს

თბილისის მერიასთან „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერ აქციაზე ვითარებას უსაფრთხოების სამსახურისა და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, დაპირისპირების შედეგად დაშავებულები არ არიან. აქციაზე ნიკა მელიამ სპეციალური განცხადება გააკეთა. ხელისუფლება სისულელეს სისულელეზე აკეთებს, დანაშაულს დანაშაულზე ჩადის, ხელისუფლებამ დღეს მორიგი დანაშაული ჩაიდინა, როდესაც სახელმწიფო ორგანიზაციის კარები ჩარაზა და ცოცხალი კედელი აღმართა დაცვისა და პოლიციის მეშვეობით, პოლიციელები უკანონო დავალებას ასრულებენ...

„თუკი ნება იყო ივანიშვილის და ნარმანიასი, რომ ეს ცენტრალური კარი ჩაეკეტა, ხალხის ნებაა, რომ ეს კარი გააღოს, ნარმანიას რამდენიმე საათს ვაძლევთ, ან ჩამობრძანდეს, ან ეს ხალხი, ვინც აქაა შეკრებილი, აზვირთდება ზვავი და უმართავი ადამიანი მოვა და ვინ დაკეტავს და გააღებს კარებს, ამას ნარმანია ივანიშვილთან ერთად დაინახავს,“ — მორიგი დემაგოგია გადმოაფრქვია მელიამ.

აქციაზე 13 პირი დააკავეს

„მოვიდა პროვოკატორი, ვინმე ჩოხელი, ვისაც ხელისუფლება საეთერო დროს უთმობს და მცდელობა ჰქონდა, რომ საზოგადოებრივ აზრი იმდაგვარად ჩამოეყალიბებინა, რომ არაფერ შუაში იყო ნაზღაიძე და მის საკუთრებაში იყო ტერიტორია და ქრთამის აღება-მიცემასთან არ გვაქვს საქმე, საქმე გვაქვს ჩოხელთან,. ეს ჩოხელი გამოცხადდა და შეურაცხყოფა მიაყენა აქ მყოფ მოქალქეებს. მოვიდა, გენერალი ლევან გვაზავას მეგობარი ვარო, აქ მოვიდა ლევან გვაზავას სახელით. ეს ასე არ დამთავრდება, სანამ ნარმანია კითხვებზე პასუხს არ გასცემს, აქციები არ შეწყდება,“ — ისევ დაიმუქრა ნაცზოოპარკის მთავარმა მელიამ...

მეუფე იაკობი: თუ ვიღაცა რაღაცას აკეთებდა, მარტო ვერ გაბედავდა

ეს განცხადება, პატრიარქის ქორეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა გააკეთა. ის საქართველოს პროკურატურის მიერ მამა გიორგი მამალაძის დაკავებას და იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, მამა გიორგი მამალაძე მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მკვლელობას გეგმავდა.

„საქართველოში არ ვარ ახლა მე და გავეცნობი. მამალაძის შესახებ დაკავებულ ადამიანზე რა გელაპარაკოთ? სანამ გამოძიება მიმდინარეობს, მე არ მინდა, რამე ვთქვა. მე არ ვიცი, მოწამვლას შეეხებოდა თუ რას შეეხებოდა, პროკურატურის განცხადებას უნდა გაეცნო. პროკურატურა თუ აცხადებს ალბათ ბოლომდე გაიხსნებიან.

მე ერთი ვიცი, რომ პატრიარქთან დაცვა გაძლიერდა. ვერავის ვერ დავდებ ბრალს. თუ ვინმე გარეთ დარჩა და ხელი არ მოკიდეს, ვნახავთ მერე, თუ ვიღაცას რაღაცას აკეთებდა ის მარტო ვერ გააკეთებდა,“ — განაცხადა მეუფე იაკობმა.

შეეშვით ლანძღვა-გინებას

ნაციონალებო, გაგიმარჯოთ ჰიტლერთან ერთად!

10 თებერვალს, პარლამენტის სხდომაზე ერთი „ნაციონალი“ გამოვიდა სიტყვით, საღამოს ხუთ საათზე და საბჭოთა კაშირი შევარდნაძესთან ერთად ახსენა.

პატივცემულო „იმანო“, მე თქვენი გვარი ან არ მახსოვს, ან არ ვიცი, მაგრამ დაბეჯითებით გეტყვი, საბჭოთა კავშირის ნგრევაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ედუარდ შევარდნაძეს.

ედუარდ შევარდნაძემ იმ საშინელ დროს გადაარჩინა ქართველთა მშობლიური ენა, რომელსაც საბჭოთა რუსეთი ხელაღებით გვართმევდა. დიახ, გადაარჩინა და შემდეგ, დედაქალაქის სკვერში „დედა ენის“ ძეგლი დადგა. ვერ მეტყვით, რომ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში „დედა ენის“ ძეგლი იდგეს.

ის, რომ საქართველო ევროპის გზას დაადგა, სწორედ ედუარდ შევარდნაძის დამსახურებაა.

სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძის დროს ყვაოდა ქართული მწერლობა. გენიალური ქართული ფილმებიც იმ დროს გადაიღეს.

ცენზურა თუ იყო? დიახ, იყო, მაგრამ მე და ჩემი თაობის უმეტესობა ჩვენსას „მივერეკებოდით“. ესეც შევარდნაძის დიდი დამსახურება გახლდათ.

ახლა, მოდით, შევარდნაძის დროინდელ ჩემი თაობის პროზაიკოსებსა და პოეტებს ჩამოგითვლით.

ბატონო „ნაციონალო“, თქვენ, რა თქმა უნდა, არც ერთის ნაწარმოებიც წაკითხული არ გექნებათ.

მაშ, დავიწყოთ:

ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, გურამ ფანჯიკიძე, გურამ დოჩანაშვილი, რევაზ მიშველაძე.

ახლა, პოეტებს მოგახსენებთ:

მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახაძე, ტარიელ ჭანტურია, ზაურ ბოლქვაძე, გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიტაიშვილი, რეზო ამაშუკელი, გენო კალანდია, ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული.

ამ დროს „ლიტერატურულ საქართველოს“ ხელმძღვანელობდა თამაზ წივწივაძე.

ასე რომ, შეეშვით ლანძღვა-გინებას, ჩემი თაობა საქართველოს დიდ მწერლობას ეკუთვნის! მაშ, შენ ვინ ხარ — კაცთმოძულე? ღმერთმა ამ სიძულვილით გატაროს.

ჰო, მართლა: თავის დროზე დიდი ფაშისტის ადოლფ ჰიტლერის ნათქვამი გამახსენდა — „მე ბედნიერი ვარ, რომ „ნაციონალური პარტიის“ წევრი ვარ.“

ჰოდა, გაგიმარჯოთ ჰიტლერთან ერთად!

ჯანსულ ჩარკვიანი,
საქართველოს სახალხო პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

სანამ ნატო დაგვიცავს, მტრები ტყავს გაგვაძრობენ!

„გელაპის“ თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 37 პროცენტი ნატოს დამცველად აღიქვამს

იმ დროს, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპი „მორალურად მოძველებულს“ უწოდებს ნატოს, როგორც გაირკვა, ალიანსში შემავალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა ალიანსს თავის დამცველად მიიჩნევს. საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია „გელაპის“ მიერ 10 თებერვალს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, 2016 წელს ნატოს თავდაცვით შესაძლებლობებზე ყველაზე მაღალი წარმოდგენა ჰქონიათ კოსოვოში, სადაც გამოკითხულთა 90 % მიიჩნევს ალიანსს თავისი ქვეყნის დამცველად. 70 %-ით მეორე ადგილზეა ალბანეთი, მესამეზე კი — პოლონეთი, სადაც გამოკითხულთა 62 %- ის თვალში ნატო დაცვასთან ასოცირდება.

გამონაკლისს შეადგენს ბალკანეთის ორი სახელმწიფოს, ჩერნოგორიისა და სერბიის მოსახლეობა. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სერბების 64 % მიიჩნევს საფრთხედ და მხოლოდ 6 % — დამცველად. ასეთი შედეგი არ უკვირთ „გელაპის“ მკვლევრებს, რომლებიც სერბების დამოკიდებულების განმსაზღვრელ ფაქტორად ასახელებენ 1990-იანი წლების ბოლოს ნატოს სამხედრო ოპერაციას, რომლის ძირითადი სამიზნე სწორედ დღევანდელი სერბიის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი იუგოსლავიის ყოფილი ლიდერის სლობოდან მილოშევიჩის მომხრე არმიის ობიექტები იყო. თუმცა ნატოს როგორც საფრთხედ აღქმა მაღალი აღმოჩნდა ჩერნოგორიაშიც, რომელიც წლის ბოლოს ოფიციალურად გახდება ნატოს წევრი. „გელაპის“ თანახმად, ალიანსს საფრთხედ მიიჩნევს გამოკითხულთა 29 %, დამცველად კი — 21 %.

რაც შეეხება ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, აქ ნატოს მიმართ დამოკიდებულება, ტრადიციულად, ნეგატიურია და რომ არა რამდენიმე ქვეყანა, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ამ სივრცეზე ალიანსს კვლავ მთავარ საფრთხედ მიიჩნევენ. აშკარად დადებითი ბალანსი ამ მხრივ მხოლოდ საქართველოში აღმოჩნდა. თანახმად გამოკითხვისა, რომელიც „გელაპმა“ 2016 წლის განმავლობაში ტელეფონის საშუალებით ჩაატარა, საქართველოს მოსახლეობის 37 % ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს დამცველად მიიჩნევს, 8 % — საფრთხედ, თუმცა საკმაოდ მაღალი, 35%-ია მათი რიცხვი, ვინც ნატოს არც დამცველად მიიჩნევს და არც საფრთხედ.

მოულოდნელად პოზიტიური დინამიკა გამოიკვეთა აზერბაიჯანში, რომელიც არ ესწრაფვის ნატოში გაწევრიანებას და სადაც სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მძიმე მდგომარეობაა. გამოკითხულთა 21 % აზერბაიჯანში ნატოს მიიჩნევს დამცველად, 16 % — საფრთხედ. სამაგიეროდ, 44 %-ს შეადგენს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებისთვისაც ალიანსი არც დაცვასთან ასოცირდება და არც საფრთხესთან.

ჯერჯერობით უარყოფითი ბალანსია უკრაინაშიც. 2016 წელს იქ გამოკითხულთა 29 % მიიჩნევდა ნატოს დამცველად, 35 % კი — საფრთხედ. თანაც, „გელაპის“ გამოკითხვაში უკრაინის სტატისტიკა წლების განმავლობაში წარმოდგენილია დიაგრამით, რომლის თანახმად, უკრაინაში, დაახლოებით, 5 %-ით გაზრდილა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ნატოს საფრთხედ აღიქვამენ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო ნეგატიურად ალიანსის მიმართ განწყობილი არიან რუსეთსა და ბელორუსიაში. „გელაპის“ კვლევების თანახმად, ნატოს საფრთხედ რუსეთში 67 % მიიჩნევს, ბელორუსიაში კი — 54 %. როგორც „გელაპის“ ოფიციალურ საიტზეა მითითებული, ნატოსთან დაკავშირებით აღნიშნული გამოკითხვაც 2016 წელს ტელეფონის საშუალებით ჩატარდა. მკვლევრებმა თითოეულ ქვეყანაში, შემთხვევითი შერჩევის წესით, 15 წელს ზევით ასაკის 1 000-მდე რესპონდენტი გამოკითხეს. ასეთი მეთოდით გამოკითხვის დროს მიღებულ მონაცემებში, როგორც „გელაპის“ საიტზეა მითითებული, ცდომილება 2.7-3,9 %-ს შორის მერყეობს.

კობა ლიკლიკაძე.

„რეფორმების მესამე ტალღის“ პაკეტს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ გადმოგზავნილ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც სასამართლო რეფორმის მესამე ტალღას უკავშირდება.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ანა დოლიძის განცხადებით, პრეზიდენტს სურვილი აქვს, რომ სასამართლო რეფორმა დროულად დაინერგოს, ხელს აწერს ამ კანონებს და აქვეყნებს მათ.

„საქართველოს პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები, მან კიდევ ერთხელ მიიღო რეფორმა საერთო სასამართლოებში და ეს ახალი პაკეტი გამოუშვა ხელმოსაწერად საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა სასამართლოს დეცენტრალიზაციას, სასამართლოს მეტ დაცულობას, რაც იყო პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებში და ეყრდნობოდა ვენეციის კომისიის პოზიციას. ეს პრობლემები და ეს საკითხები რჩება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად და ჩვენ ვაგრძელებთ მათზე მუშაობას.

კანონთა პაკეტი მოიცავს რამდენიმე პოზიტიურ ცვლილებასაც, მათ შორის საქმეთა ელექტრონულ განაწილებას, რასაც პრეზიდენტმა ადრეც დაუჭირა მხარი“, — განაცხადა ანა დოლიძემ.

აშშ-ს საქართველოს საბრძოლო სასწავლო ცენტრის აღჭურვაში დახმარება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი საბრძოლო საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერას თავდაცვის სისტემის გამოყენებითი ჯგუფი უცხადებს. სწორედ ეს საკითხი იყო განხილვის მთავარი თემა თავდაცვის მინისტრს ლევან იზორიასა და თავდაცვის სისტემის გამოყენებითი ჯგუფის პრეზიდენტს ბრედ ფედმანს შორის გამართულ შეხვედრაზე.

აშშ-ის თავდაცვის სისტემის გამოყენებითი ჯგუფის ექსპერტები საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბებაში აქტიურ წვლილს შეიტანენ და ქართულ მხარეს აღჭურვილობის უზრუნველყოფაშიც გაუწევენ დახმარებას.

როგორც ლევან იზორიამ აღნიშნა, **შეხვედრაზე მხარეებმა გარკვეული მიმართულებების იდენტიფიცირება მოახდინეს, სადაც ამერიკელი ექსპერტების ჩართულობის მაღალი ხარისხი უნდა იყოს გარანტირებული. „ეს რეფორმები რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ახლა იწყება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც წვრთნებს უკავშირდება. ჩვენ საჯაროდ უკვე მრავალჯერ განვაცხადეთ, რომ ვგეგმავთ მნიშვნელოვანი სასწავლო ცენტრის მშენებლობას. უკვე წელს ჩაეყრება მას საფუძველი. მრჩევლების აქტიურობა, მათი ამ წვრთნებში ჩართულობა უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ლაპარაკია ასევე, შესაბამისი აღჭურვილობის შეძენაზე. მოხდა გარკვეული მიმართულებების იდენტიფიცირება, სადაც მათი გააქტიურება, მათი ჩართულობის მაღალი ხარისხი უნდა იყოს გარანტირებული, რათა დაწყებული პროცესი მივიყვანოთ ლოგიკურ წარმატებულ შედეგამდე“,** — განაცხადა ლევან იზორიამ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ბრედ ფედმანმა CUBIC-ის ჯგუფისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ხანგრძლივ წარმატებულ თანამშრომლობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა: **„ჩვენ საქართველოს ბევრი წელია მხარდაჭერას ვუწევთ. შეხვედრაზე საბრძოლო საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბების საკითხი განვიხილეთ. ამჟამად, ჩვენ მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 25 ქვეყანას უზრუნველვყობთ აღჭურვილობით. ვგეგმავთ, ქართულ მხარესაც გადმოვცეთ აღჭურვილობა. ასე რომ, ჩვენ დიდად ვაფასებთ საქართველოსთან პარტნიორობას, რომელიც უკვე მრავალია წელია გრძელდება“.**

გავყიდოთ თუ იჯარით გავცეთ უცხოელებზე ქართული მიწა?!

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე არა მარტო შეუზღუდოს, არამედ აუკრძალოს უცხოელს (ფიზიკურ და იურიდიულ პირს) ამ სიკეთით სარგებლობის უფლება!

საქართველო სამიწათმოქმედო ცივილიზაციის ქვეყანაა. ჩვენი წარსული და მომავალი გაპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური თუ ემოციური საწყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის ტრადიციიდან გამომდინარეობს.

ქართველი ერისთვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობა საუკუნეებს ითვლის, მეტიც, მას იმდენი ხნის ისტორია აქვს, რამდენი ხნისაცაა. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების (დაპყრობა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი“ დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანოს ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. სწორედ ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისთვის ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის საერთო მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისთვის.

საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა.შ. უფლებამოსილია, რომ საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობებს, პირველ ყოვლისა — მიწას განიხილავდეს, როგორც თავისი შთამომავლობის გარანტირებულ საკვებ ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

სახელმწიფო ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ

- **საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და**
- **უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.**

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების — კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების — პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება (და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე). ამ მხრივ დამახასიათებელია FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამავე დროს, არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) (VerfGEG21, 73) რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის და, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად, მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი, რადგან, მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ Landesgegesetzblatt Nr. 88/1994).

ბელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და, ფაქტობრივად, წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობის აუცილებელ პირობას.

- **თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინაალმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, უყოყმანოდ იწირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ.**

საინტერესოა გერმანიის მაგალითი, სადაც მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. ამასთან, აქ საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

დანიაში ერთ პირს უფლება არა აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება.

ამასთან, უცხოელს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია უნდა ჰქონდეს, რომელსაც დანიის იუსტიციის სამინისტრო გასცემს.

შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი ესპანეთში, მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევა! არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75% მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩაითვალოს.

სასარგებლო იქნება არგენტინის მაგალითის გამოყენებაც, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელებზე დაშვებული. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი, ან რამდენიმე ელემენტის ერთმანეთთან შერწყმით.

ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადაცემა.

მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში.

პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას.

საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა.

აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების შესახებ.

მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული.

ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე.

ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან!

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში (ბრუნვაში) მოქცევის არა ერთი, არამედ, ორი გზა არსებობს: პირველი — მიწის კერძო საკუთრება, და მეორე — მიწის გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა.

ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისთვის (20%-ზე მეტი ოკუპირებილი ტერიტორია, 250 ათასზე მეტი დევნილი საკუთარი მოსახლეობა, საომარი მდგომარეობა, უმძიმესი გეოპოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდ. აფრიკაში, ლტოლვილთა ნაკადების მოზღვავება, აფხაზების პრინციპული დამოკიდებულება მიწის უცხოელებზე არგასხვისების თაობაზე და ა.შ.), უცხოელების მიმართ, ეს უკანასკნელი (ანუ, გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა) უნდა იქნეს გამოყენებული. ამისთვის კი საჭიროა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების აღდგენა და მასში ნათელი და გამჭვირვალე ცვლილებების შეტანა.

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე არა მარტო შეუზღუდოს, არამედ აუკრძალოს უცხოელს (ფიზიკურ და იურიდიულ პირს) ამ სიკეთით სარგებლობის უფლება!

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი,
საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;
დავით ზარდიაშვილი,
სამართლის ექსპერტი.

ვინ მოაწერა ხელი „საბაჟოებს“ გორსა და ენგურთან

„ცივი საინფორმაციო ომი“ საქართველოში გრძელდება. უახლოეს მომავალში მორიგი „ბირთვული ბომბი“ აფეთქდება, რომლის ისედაც გამანადგურებელ პოტენციალს ის გააათმაგებს, რომ უკვე თითქმის უეჭველად დაემთხვევა „რუსთავი-2“-ის საქმეზე განაჩენს.

ამ მხრივ ყველა ვადა დაირღვა და როდესღაც ხომ უნდა გამოცხადდეს - დიდი შიშნეულობისა და კანკალის მიუხედავად?

საქმე ეხება ზურაბ აბაშიძესა და გრიგორი კარასინს შორის პრაღის ბოლო რაუნდზე მიღწეულ შეთანხმებას 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ამოქმედების შესახებ.

ამ თავისებურად უნიკალურ დოკუმენტს ეწოდება „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს მთავრობას შორის ტვირთებზე საბაჟო ადმინისტრირებისა და მონიტორინგის მექანიზმის ძირითად პრინციპთა შესახებ“.

კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი თარიღს: 2011 წლის 9 ნოემბერი! მას შემდეგ დოკუმენტი „ხელმოწერილ ქაღალდად“ რჩებოდა და მისი რეალურად განხორციელება აზრად არავის მოსვლია.

დღევანდელ პოლიტიკურ-საინფორმაციო დისკურსში კი, მისი ამოქმედება მართლაც „ბირთვულ ეფექტს“ გამოიწვევს და ორივე მხარე (ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, აგრეთვე მათი მხარდამჭერი მედია-რესურსები) უეჭველად შეეცდებიან, მოგვატყუონ იმავე საინფორმაციო ომის ტექნოლოგიებით, ანუ, სხვადასხვაგვარად „დაინტერეპრეტირონ“ შეთანხმების დებულებები, რათა ვერ მივხვდეთ, რაშია საქმე, ვის რა წვლილი მიუძღვის და ა.შ.

სწორედ იმ მიზნით, რომ არ მოვტყუვდეთ და „ცრუპენტელებს“ ამის საშუალება არ მივცეთ, ღირს, დაკვირვებით წავიკითხოთ ეს დოკუმენტი, მაგრამ თავდაპირველად ის გავიხსენოთ, საიდან გაჩნდა იგი საერთოდ და რატომ გაფორმდა 2011 წელს.

საქმე ისაა, რომ იმ დროს საქართველო რჩებოდა ერთადერთ ქვეყნად მსოფლიოში (აქაც გვქონდა ერთი „ექსკლუზივი“ 2008 წლის მოვლენების შემდეგ), რომელიც ეწინააღმდეგებოდა და ვეტოს ადებდა რუსეთის გაწევრებას „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“ იმ სრულიად მართებული და ლეგიტიმური მოტივით, რომ, რაკი მოსკოვმა აღიარა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, ხოლო მსოფლიო თანამეგობრობა მათ კვლავ საქართველოს შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევს, ამ საკითხის გარკვევამდე შეუძლებელია საქართველოსა და რუსეთს შორის ტვირთბრუნვისა თუ ვაჭრობის იმგვარი რეჟიმის შემუშავება, რომელიც არ დაარღვევდა WTO-ს წესდებას და, იმავდროულად, არ შელახავდა საქართველოს სუვერენიტეტს.

აბსოლუტურად ლოგიკური, სრულიად გამართლებული და ყოველმხრივ დაბუთებული პოზიცია იყო. მოსკოვში იცოდნენ, რომ ამ თემაზე იმდროინდელ ოფიციალურ თბილისთან, ესე იგი პრეზიდენტ სააკაშვილთან რაიმე მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა — მაინც ვერ დაითანხმებდნენ. ამიტომ, უფრო ეფექტური და (სამწუხაროდ) შედეგიანი გზა აირჩიეს: მოელაპარაკენ ამერიკის იმდროინდელი, უბადრუკი და გამყიდველი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ადმინისტრაციას, რომელმაც, თავის მხრივ, დაიწყო ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე.

ჯერ სახდეპარტამენტის მეორე-მესამე რანგის ფიგურებით ცდილობდნენ, მაგრამ არ გაუვიდათ. მაშინ ობამა პირადად შეხვდა სააკაშვილს და მოსთხოვა: „თქვენი ე.წ. „ტერიტორიული მთლიანობისა“ და სხვა ამგვარი სისულელეების გამო გლობალური წესრიგის ჩამოყალიბებას ხელს ნუ უშლით, გლობალურ ინტერესებშია რუსეთი გახდეს WTO-ს წევრი და იცოდეთ, თუ კიდევ გამოიყენებთ ვეტოს, საქმე არა რუსეთთან არამედ ჩვენს სანქციებთან გექნებათ, — ყოველგვარ დახმარებას შეგიწყვეტთო“.

და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ჩვენი გმირი ბიჭები იღუპებოდნენ ავღანეთში!

* * *

რა უნდა ექნა ამ ჩვენი, მართლაც უბედური და უმწეო ქვეყნის პრეზიდენტს? რასაკვირველია, დათანხმდა, მაგრამ „ფორმალობები“ მაინც დაიცვა და, „სახის შესანარჩუნებლად“, 2011 წლის ხელშეკრულებაში ისეთი მექანიზმები ჩადო, რაც ერთი შეხედვით მაინც არ არღვევდა საქართველოს სუვერენიტეტს.

ანუ, იმ კაპიტულანტური შეთანხმებით იქმნებოდა „სავაჭრო დერეფნები“ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გავლით, რომელთა ორივე ბოლოში (ეს ხაზგასასმელია: ორივე ბოლოში და არა მხოლოდ როკთან და ფსოუზე!), მათ შორის ენგურთან და გორთან, დგებოდნენ ნეიტრალური დამკვირვებლები. ისინი გააკონტროლებდნენ ტვირთბრუნვას, აღჭურვავდნენ ტვირთებს GPRS მოწყობილობებით და მიაწოდებდნენ ინფორმაციას იმავე WTO-ს. ესე იგი, საქართველოს, ფორმალურად მაინც, ეძლეოდა საშუალება, შეედარებინა ეს მონაცემები იმ ინფორმაციასთან, რასაც რუსეთი ისედაც აწვდის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, — წესდების შესაბამისად.

* * *

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრული ცრუპენტელობაა, თითქოს რუსეთმა ემბარგო იმიტომ მოხსნა ქართულ პროდუქციას, რომ მიიღო თბილისისგან WTO-ში გაწევრების თანხმობა და თურმე „იძულებული გახდა“ ასე მოქცეულიყო, რათა „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ წესდება არ დაერღვია.

სინამდვილეში, ემბარგოს მოხსნა უკავშირდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების შეცვლას საქართველოში და მოსკოვის ახალ ტაქტიკას ჩვენი ქვეყნის მიმართ, თორემ WTO-ს წევრობის დროსაც, მოსკოვს უამრავი უკანონო სანქცია შემოუღია დასავლური ქვეყნების მიმართაც კი (როცა მათი პოლიტიკა არ მოსწონდა) ანუ ორგანიზაციის წესდება სულაც ფეხებზე ეკიდა.

ხოლო 2014 წლის მოვლენების დროს, როდესაც დასავლეთმა, ყირიმის ანექსიის გამო, „ანტიპუტინური სანქციები“ შემოიღო, WTO-ს წესდება იმავე პუტინმა სულაც თავზე გადაახია დასავლეთს და მთელი სასაქონლო კატეგორიების იმპორტი აკრძალა ევროპიდან!

2013 წელს საქართველოს პროდუქციისთვის რუსული ბაზრის გახსნა იყო „ნარკოტიკი“, რომლითაც მოსკოვმა ახალი ხელისუფლება „დააბა“. ახლა კი, ეს ნარკოტიკი, ეფექტურად გამოიყენა: ვიცე-პრემიერი კახი კალაძე სწორედ იმიტომ დათანხმდა „გაზპრომის“ ულტიმატუმს ბუნებრივი აირის ტრანზიტის „მონეტიზების“ თაობაზე, რომ მოსკოვმა მკაცრად გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება: „არ დათანხმდებით? აღვადგენ ემბარგოს და კვლავ ჩავკეტავ ბაზარს!“

ბუნებრივია, მით უმეტეს სავალუტო კრიზისისა და ლარის დევალვაციის დროს, კვირიკაშვილის მთავრობას „პრინციპული პოზიციის“ დაკავება გაუჭირდებოდა, რადგან რუსული ბაზრის ჩაკეტვა მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა, ხოლო ლარის ნიშნული „ვ“-ს ნამდვილად გადააჭარბებდა.

* * *

ახლა, მოსკოვი უკვე მეორედ ცდილობს იგივე ბერკეტის გამოყენებას (რაკი ერთხელ გაუვიდა) — ოღონდ, ამჯერად, 2011 წლის ხელშეკრულების ამოქმედების მიზნით, რაც მას საშუალებას მისცემს, აფხაზეთისა და, განსაკუთრებით, „სამხრეთ ოსეთის“ გავლით დაუკავშირდეს სტრატეგიულ მოკავშირეს — სომხეთს.

კვირიკაშვილი „ვაისა და ვუის“ მდგომარეობაში აღმოჩნდა: შვეიცარიელი „მებაჟეების“ დაყენება არა მხოლოდ როკის გვირაბთან და ფსოუზე, არამედ გორთან და ენგურთან აუცილებლად გამოიწვევს „საინფორმაციო შტურმს“ ოპოზიციის მხრიდან და აღარავინ გაიხსენებს, რომ სწორედ ასე წერია იმ ხელშეკრულებაში, რომელსაც არა კვირიკაშვილმა, არამედ სააკაშვილის მთავრობამ მოაწერა ხელი 6 წლის წინ.

მოაწერა ხელი, მაგრამ არ განუხორციელებია. დღევანდელი ხელისუფლება კი იძულებულია, განახორციელოს ისე, როგორც გაფორმდა თავის დროზე.

ამიტომ ოპოზიციის გამძვინვარება და დემაგოგიური არგუმენტები „ის ხელშეკრულება ამას კი არ გულისხმობდაო“ (არადა, ზუსტად ამას გულისხმობდა — წაიკითხეთ აქვე), გარდაუვალია.

თუმცა, ხელისუფლება ამას უნდა შეურიგდეს, რადგან ძალაუფლებას, ზოგადად, ხიბლთან ერთად, ის თვისება აქვს, რომ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს: განურჩევლად იმისა, ვინ რას მოაწერა ხელი და რატომ, პოლიტიკურად პასუხს ის აგებს, ვინც რეალურად ახორციელებს.

არ არსებობს ძალაუფლება პასუხისმგებლობის გარეშე და რაც უფრო მეტია ეს ძალაუფლება, რაც უფრო აბსოლუტურია იგი, მით მეტი და აბსოლუტურია პასუხისმგებლობაც.

ამიტომ, ძალაუფლების დაბალანსება და გადანაწილება მარტო კეთილი ნება კი არ არის, არამედ გონივრული, პრაგმატული გადაწყვეტილებაც იქნებოდა. თუმცა, ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ქართველ პოლიტიკოსებს ძნელად თუ შეასმენ.

* * *

თუ მთავრობამ ეს გარდაუვალი, გრანდიოზული სკანდალიც „გადააგორა“ (და მაინც აქვს შანსი „გადააგოროს“ საინფორმაციო ისტერიის მიუხედავად), დიდია ალბათობა იმ „მემორანდუმსაც“ დაუბრუნდნენ, რომელსაც სააკაშვილმა 2010 წელს მოაწერა ხელი და „ენგურჰესის“ მეორე რუსული ენერგოგიგანტისთვის (РАО ЕэС Россия) გადაცემას გულისხმობდა.

იმ შემთხვევაშიც, ხელმოწერა სააკაშვილისაა, ხოლო პასუხისმგებლობა — კვირიკაშვილის! ვერაფერს იზამ, ასეთი უმოწყალო და ცინიკურია პოლიტიკა.

ნიკა იმნაიშვილი

◎ გეოპოლიტიკის დეტალები

რატომ გააძევეს თურქეთიდან აფხაზეთის „სრულუფლებიანი წარმომადგენელი“?

თურქეთის **აფხაზური ორგანიზაციების ფედერაცია (აფხაზფედი) ქვეყნიდან „აფხაზეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის“ ინარ გიცბას გაძევებას საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა.**

დოკუმენტში, რომელიც თავად გიცბას განმარტებებთან ერთად „აფხაზფედის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ „თურქეთის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება აფხაზეთის მთავრობასთან სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით საქართველოს ზეწოლითაა განპირობებული“.

„ეს არის საქართველოს მცდელობები, დანარჩენი მსოფლიოსგან აფხაზი ხალხის იზოლირება მოახდინოს. დარწმუნებულები ვართ, მთელს მსოფლიოში კეთილი ნების ხალხი დაგმობს მსგავს ნაბიჯებს. ამავე დროს, გვწამს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთის რესპუბლიკა, როგორც დიადი სახელმწიფო, აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

თავად ინარ გიცბა თურქეთის აფხაზური, ჩერქეზული და მთლიანად ჩრდილო-კავკასიური დიასპორის მიმართ წერილში აღნიშნავს, რომ მისი პრობლემით ამჟამად თანამემამულეები არიან დაკავებულები და საკითხის გადაჭრამდე ყველას სიმშვიდის შენარჩუნება ჰმართებს.

გიცბა უკვე აფხაზეთშია. ოფიციალური განცხადებები მისი ქვეყნიდან გაძევების თაობაზე თურქეთის ხელისუფლების მხრიდან არ გაკეთებულა, თუმცა მას უარი უთხრეს იმ დოკუმენტების მოქმედების გაგრძელებაზე, რომელთა საფუძველზეც თურქეთში თავის მოვალეობას ასრულებდა.

აფხაზი ინტერნეტ-მომხმარებლები არ გამორიცხავენ, რომ თურქულ-აფხაზური ურთიერთობების „გაგრილების“ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად „აფხაზეთის მიერ მთიანი ყარაბაღის აღიარება“ იქცა, რომელიც, მათი მონაცემებით, თურქულ-რუსული კრიზისის პერიოდში განხორციელდა. თუმცა ოფიციალური განცხადება ყარაბაღის აღიარების თაობაზე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან ამ დრომდე არ გაკეთებულა.

სოლოლაკის ქედის ბუნების მესაიდუმლენი

უძველესი დროიდან მოყოლებული, მცენარეთა უკიდეგანო სამყარო უდიდეს როლს ასრულებდა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში — საზრდოთი უზრუნველყოფდა, ათბობდა, თავშესაფარს აძლევდა არა მარტო ცალკე ინდივიდებს — მთელ ტომებს, სხვადასხვა სნეულებათა განკურნვის შესაძლებლობას უქმნიდა მას, საშენ მასალადაც ადგებოდა. ამიტომ, აბა, რა გასაკვირია, რომ მცენარეები მუდამ კაცობრიობის ყურადღების ცენტრში იყვნენ და ყველა — დიდი თუ პატარა ერი ამ იდუმალებით მოცული სამყაროს უკეთ გაცნობას, მასთან დაახლოებას ცდილობდა, ღმერთების სამყოფელად მიიჩნევდა...

აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ მცენარეთა შესახებ დიდი ცოდნა ჩვენ წინაპრებსაც ჰქონდათ — საამისოდ მარტო კოლხეთის მეფე აიეტის მშვენიერი ასულის მედეას სახელის გახსენებაც კმარა, თუმცა მერე და მერე, ისტორიულ ბედუკულმართობათა ორომტრიალში, ბევრი ძირძველი, ფასდაუდებელი ხალხური ცოდნა დაიკარგა და მცენარეთა სამეცნიერო შესწავლა საქართველოში უკვე ჩვენი დროის მაქსიმალურ მოახლოებაში, აგერ, მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო.

ბოლო დრომდე საქართველოში ბოტანიკის განვითარების, ამ მეცნიერების ისტორიისა და მის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შესახებ ცნობები სხვადასხვა სამამულო თუ უცხოურ გამოცემებში გაფანტულად თუ მოიპოვებოდა. ახლახან კი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ **გიორგი ნახუცრიშვილის** პროექტის **„საქართველოს ბოტანიკური მეცნიერების სათავეებთან“** ფარგლებში, ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ფიზიოლოგიის განყოფილების თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **ნანა (ევა) ჩხუბიანიშვილმა** ჩვენს ქვეყანაში მცენარეების ანატომიის პირველ გზამკვლევთა ცხოვრებისა და შემოქმედების, მეცნიერულ ძიებათა არსისა და მიღწეულ წარმატებათა შესახებ გაბნეულ მასალებს თავი ერთად მოუყარა, სათანადოდ დაამუშავა და დაინტერესებულ მკითხველს დიდებულ წიგნად — **„საქართველოს პირველი ბოტანიკოს-ანატომები“** — შეკრული შესთავაზა.

ამ მართლაც შესანიშნავი ნაშრომის წარდგინება გასულ პარასკევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებისა და საქართველოს ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკური საზოგადოების ერთობლივი თაოსნობით გაიმართა.

შეკრებილ საზოგადოებას შესავალი სიტყვით აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა **გიორგი ნახუცრიშვილმა** მიმართა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წიგნი „საქართველოს პირველი ბოტანიკოს-ანატომები“ დიდი პროექტის „საქართველოს ბოტანიკური მეცნიერების სათავეებთან“, ასე ვთქვათ, „პირველი მერცხალია“, ამ დარგის ერთიან ისტორიულ ჭრილში განხილვის პირველი სერიოზული ცდაა და მადლიერებით აღინიშნა ის დიდი ღვაწლი, რომელიც წიგნის შექმნაში ქალბატონმა ნანა ჩხუბიანიშვილმა გასწია. შემდეგ დამსწრეთა წინაშე მოხსენებით გამოვიდნენ ბიოლოგიის დოქტორები **ნანა ჩხუბიანიშვილი** და **გულნარა ბადრიძე,** რომლებმაც საქართველოში ბოტანიკოს-ანატომთა პირველი თაობების შესახებ მრავალი საინტერესო რამ გააცნეს საზოგადოებას, ილაპარაკეს წიგნის შექმნის პროცესზე.

„მცენარეთა შესახებ საკმაოდ ვრცელი ტერმინოლოგიისა და კლასიფიკაციის გარდა, მცენარეთმცოდნეობის ჩანასახიც ყოფილა საქართველოში უძველეს ხანაშივე“, — წერდა წიგნში „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ დიდი ივანე ჯავახიშვილი.

„უძველეს ქართულ ხელნაწერებში გაბნეულია ცნობები საქართველოსა და მოსაზღვრე თუ შორეული ქვეყნების მცენარეთა შესახებ; სამედიცინო წიგნებში აღწერილია ბევრი მცენარის სამკურნალო თვისებები, მონასტრებთან არსებულ საავადმყოფოებში გამოიყენებოდა მცენარეული წამლები.

...თბილისის სამეფო ბაღისთვის ბოტანიკური ბაღის სტატუსის მინიჭებისა (1845 წ.) და თბილისში მუზეუმის დაარსების შემდეგ (1852 წ.) თბილისი კავკასიის ბოტანიკური შესწავლის ცენტრი გახდა. ამ დაწესებულებაში სხვადასხვა დროს მუშაობდა მრავალი უცხოელი და ქართველი ბოტანიკოსი.

1913 წელს ბოტანიკურ ბაღთან დაარსდა მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია. 1933 წელს თბილისის ბოტანიკური ბაღის განყოფილებისა და ლაბორატორიების საფუძველზე დაარსდა თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტი, რომლის თანამშრომლებს დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული ბოტანიკური მეცნიერების ყველა მიმართულებით“, — წერს წინასიტყვაობაში გამოცემის რედაქტორი, პროფესორი **შალვა სიხარულიძე**.



მკითხველს ბოდიშს ვუხდი ვრცელი ციტატისთვის, მაგრამ ის წარმოდგენას ჰქმნის წიგნის „საქართველოს პირველი ბოტანიკოს-ანატომების“ არსის შესახებ. მასში ლაკონურადაა გადმოცემული მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისის ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის დაფუძნების ამბავი, ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში ცნობილი ბოტანიკოსის **ნიკოლოზ მაქსიმოვის** როლი. საგანგებოდაა აღნიშნული დიდი მეცნიერის, ბოტანიკოს-ანატომის **ვასილ ალექსანდროვის** წვლილი საქართველოში მცენარეთა ანატომიის შესწავლის პროცესის აღორძინებასა და განვითარებაში. გარდა ამისა, ძალიან სადად და დიდი სითბოთი მოთხრობილია მე-20 საუკუნეში საქართველოში მომუშავე იმ ახალგაზრდა მკვლევართა ცხოვრებასა და სამეცნიერო საქმიანობაზე, ვინც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენში მცენარეთა ანატომიის სკოლას, ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ბოტანიკური მეცნიერების განვითარების ისტორიაში, მათ შორის **ოლღა ალექსანდროვაზე, ქსენია ცხაკაიაზე, მარიამ შანიძეზე, ლევან ჯაფარიძეზე, იოსებ ჩხუბიანიშვილზე, ნიკოლოზ ანელზე, ანდრია იაცენკო-ხმელევსკიზე, ლიდია ვასილევსკაიასა და ელდარ ლობჟანიძეზე**.

საგანგებოდ მინდა, აღვნიშნო, რომ, როგორც ჩანს, პროფესიის არჩევასა და საქართველოში ბოტანიკური მეცნიერების განვითარების ისტორიისა და მის შემოქმედთა გზების კვლევისადმი ინტერესი, წიგნის „საქართველოს პირველი ბოტანიკოს-ანატომების“ ავტორს, ქალბატონ ნანა ჩხუბიანიშვილს, მამის, უდროოდ გარდაცვლილი ცნობილი ბოტანიკოსის **იოსებ ჩხუბიანიშვილის** მაგალითმა, მისმა სამეცნიერო და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ გაუღვივა.

— მინდა გითხრათ, რომ ჯერ მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში, შემდგომ კი ბოტანიკის ინსტიტუტში მცენარეთა ანატომიის საკითხის შესწავლაზე, საქმეზე დიდად შეყვარებული, მეცნიერული ცოდნის მოპოვების სურვილით გულანთებული მეცნიერები მუშაობდნენ, — აღნიშნა ექსკლუზიურ ინტერვიუში ქალბატონმა ნანა ჩხუბიანიშვილმა. — მათ შორის ბევრი შემდგომ ცნობილი მეცნიერი გახდა და თავად შექმნა სამეცნიერო სკოლა. სწორედ ამ ახალგაზრდებთან ერთად **ვასილ ალექსანრდოვმა** თავის დროზე, ყოფილ საბჭოთა კავშირში, მცენარეთა ანატომიის პირველი სკოლა შექმნა, რომლის კრედო ფიზიოლოგიური ანატომია გახლდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ანატომიას განყენებულად კი არა, ფიზიოლოგიასთან კავშირში სწავლობდნენ. იმ ხანებში მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია სოლოლაკის ქედზე იყო განთავსებული, რომელთან მისასვლელი გზა არ იყო და თავდადებული თანამშრომლები „ფეხთაინად“ წოდებული ბილიკით ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ნებისმიერ ამინდში. ძალიან დიდი ხნის მანძილზე — თითქმის 50 წელი — ლაბორატორიას შესანიშნავი მეცნიერი და პიროვნება **ლევან ჯაფარიძე** უძღვებოდა, რომელიც დიდად მნიშვნელოვანი სამეცნიერო მონოგრაფიის „სქესი მცენარეებში“ ავტორი გახლდათ. ნაშრომი პირველად საქართველოში, რუსულ ენაზე დაიბეჭდა, შემდეგ კი უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა და ამის თაობაზე არათუ ბოტანიკოსთა საზოგადოებამ, არამედ... თავად ბატონმა ლევანმაც კი არ იცოდა(!). მას მეგობარი, ცნობილი მეცნიერი საპოჟნიკოვი ჰყავდა, რომელმაც ეს ნაშრომი ისრაელში წაიღო, ხოლო იქაურმა სამეცნიერო ფონდმა ის თარგმნა და ამერიკაში გამოსცა. ეს ამბავი ჩვენც ძალიან გვიან შევიტყვეთ და, ცხადია, სასწრაფოდ გამოვიწერეთ ნაშრომი, — თქვა ქალბატონმა ნანა ჩხუბიანიშვილმა.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ წიგნის „საქართველოს პირველი ბოტანიკოს-ანატომების“ პრეზენტაციის დროს აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ნახუცრიშვილმა დამსწრეთ ამცნო, რომ ბატონ ლევან ჯაფარიძის ამერიკის შეერთებულ შტატებში ორ ტომად გამოცემული მონოგრაფია „სქესი მცენარეებში“ საქართველოში ჩამოვიდა და თვალსაჩინო სამეცნიერო ნაშრომთა ფონდში სათანადო ადგილიც ექნება მიჩენილი.

ოთარ ტურაბელიძე

თურქეთში დასაქმებულ უცხოელთა მხრივ საქართველო მეორე ადგილზეა

თურქეთის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2016 წელს ქვეყანაში მუშაობის ნებართვა 73 584 უცხოელმა მოიპოვა.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, აქედან 37 965 მამაკაცი იყო, ხოლო 35619 ქალი.

2016 წელს თურქეთში მუშაობის ნებართვაზე უარი ეთქვა 2483 უცხოელს, ხოლო 968 ადამიანზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ გამოტანილი არ არის.

2016 წლის სტატისტიკა აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი სამუშო ნებართვა სირიის მოქალაქეებზე გაიცა.

2016 წელს უცხოელებზე გაცემული ოფიციალური სამუშაო ნებართვების „ლიდერები“ ასეთია

სირიის მოქალაქე — 13 298;
საქართველოს მოქალაქე — 7635;
უკრაინის მოქალაქე — 5593
ჩინეთის მოქალაქე — 4397;
თურქმენეთის მოქალაქე — 3474 და ა. შ.

ივანიშვილი დენდროლოგიურ პარკში გადასატანად კიდევ სამ ხეს ამზადებს

ოზურგეთის საკრებულოს და „ლეიბორისტული პარტიის“ წევრის ნათია შარაშენიძის ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი საკუთარ დენდროლოგიურ პარკში გადასატანად გურიაში, სოფელ ნატანებში კიდევ სამ ხეს ამზადებს:

„მაგნოლიას ბედს კიდევ სამი ხე გაიზიარებს, სოფ. ნატანებში ასწლოვანი მუხა და ყოფილი ჩაის ფაბრიკის ეზოში 2 გიგანტური უნიკალური ჯიშის ხე მოგლიჯა და წასაღებად ამზადებს, მიაქვს საკუთარ ეზოში“, — წერს შარაშენიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე და შესაბამის ფოტომასალასაც აქვეყნებს.



წარმატება აუცილებლად მოვა, თუ მუშაობას არ დაიზარებ

24 წლის ზუგდიდელმა ფერმერმა საოჯახო მეურნეობა ბიზნესად აქცია

ზუგდიდის სოფელ დარჩელში უკვე არავის აოცებს სატვირთო ავტომობილის თუ ტრაქტორის საჭესთან 24 წლის მარიამ კოდუას დანახვა. თუ ოთხი წლის წინ, სოფლის მეურნეობის საქმეებში აქტიურად ჩართული, მძიმე ტექნიკით მუშაობისას მეზობლებს აოცებდა, ახლა ორი ქარხნისა და რამდენიმე პლანტაციის მფლობელი, მათგან მხოლოდ საქებარ სიტყვებს იღებს, როგორც წარმატებული ფერმერი და კარგი მძღოლი.

24 წლის მარიამმა შეძლო სოფელში არავისგან გამორჩეული საოჯახო მეურნეობა განევითარებინა და ბიზნესად ექცია.

მარიამ კოდუა: **„ბავშვობიდან აქტიურად ვიყავი ჩართული სოფლის მეურნეობაში, იმიტომ რომ ჩემი მშობლები აქტიურად მისდევდნენ მეფუტკრეობას, მეთხილეობას და მეც იმას ვაკეთებდი, რასაც ჩემი მშობლები. ვეხმარებოდი თხილნარში, ვეხმარებოდი ყოველდღიურ საქმიანობაში და შემაყვარეს შრომა, ის საქმე, რასაც თვითონ აკეთებდნენ. ამის შემდეგ მე თვითონაც, როცა გავიზარდე, გადავწყვიტე მშობლების გაკეთებული საქმე გამეგრძელებინა“.**

მარიამი პროფესიით ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯერია. უნივერსიტეტის დასრულებისთანავე დარჩელში დაბრუნდა და ოჯახთან ერთად აქტიური მუშაობა დაიწყო მეურნეობის გასაფართოებლად. მათ საკუთრებაში არსებულ 12 ჰექტარ მიწის ნაკვეთს იჯარით აღებული ფართები დაამატეს. სხვა პროდუქტთან ერთად, აქ მოყვანილი სიმინდისგან საქონლის საკვები — სილოსი მზადდება.

მარიამი ამბობს, რომ ჯერჯერობით საქონლისთვის განკუთვნილი საკვების გატანას ექსპორტზე ვერ ახერხებს, თუმცა ადგილობრივ ბაზარზე პროდუქტი კარგად იყიდება, ისევე როგორც მის მიერ წარმოებული თაფლი. ახალგაზრდა ფერმერი მეფუტკრეობის კიდევ უფრო გაფართოებას გეგმავს და სამომავლოდ ექსპორტზეც ფიქრობს, ამჯერად კი ევროპის რამდენიმე ქვეყანას მარიამი სხვა პროდუქტით ამარაგებს: **„რაც შეეხება მეთხილეობას, ეს არის ჩვენი ძირითადი მიმართულება, ექსპორტზე გაგვაქვს მზა პროდუქტი, ანუ თხილის გული. ძირითადი ქვეყნები ამ ეტაპისთვის არის იტალია, გერმანია. პარტნიორები გვყავს პოლონეთში, ჩეხეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში“,** — ამბობს მარიამი, რომელიც, ბიზნესის გაფართოების პარალელურად, საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზეც ზრუნავს. ცდილობს, მეტი ინფორმაცია მიიღოს სოფლის მეურნეობასა და მის განვითარებაზე, ახალგაზრდებს კი სასოფლო საქმიანობაში მეტი ჩართულობისკენ მოუწოდებს. მისი სიტყვებით, წარმატება აუცილებლად მიიღწევა, თუ მუშაობას არ დაიზარებ.

თამარ ზანთარაია

◎ კონკურენტული გარემო

არაპროფილური „პროფილების“ მოსაშლელად

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმძლავრესი მუხრუჭი, რომლის შესახებ წლების მანძილზე ყველა დონეზეა ლაპარაკი, მაგრამ საშველი არა და არ ჩანს, მეწარმეთათვის ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომაა, რასაც, პირველ ყოვლისა, კომერციული ბანკების მიერ კრედიტებზე დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთებია. თუმცა კი ეს უმნიშვნელოვანესი ხელის შემშლელი გარემოება ერთგვარად უკანა პლანზე გადადის იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული მეწარმე იმ სფეროში მოღვაწეობს, სადაც ამა თუ იმ ბანკს, რომელსაც იგი კრედიტისთვის მიმართავს, საკუთარი ინტერესი თავად ბანკს აქვს. ამ შემთხვევაში კი უშუალო კონკურენტისთვის ხელის მომართვას, ცხადია, არც ერთი ჭკუათამყოფელი ბანკირი არ მოისურვებს, რაც, მართალია, თავისთავად გასაკვირი არ არის, მაგრამ ქვეყანას უკან სწევს, რის ხარჯზე ერთეულები უსაშველოდ მდიდრდებიან, თუმცა კი საჯაროდ გაუთავებლად წუწუნებენ.

— რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია, შესაბამისად, ნებისმიერი წარმატებული მწარმოებელი იმ რისკის წინაშე დგას, რომ ამა თუ იმ კომერციული ბანკიდან სესხის გამოტანის შემდეგ ის მას ხვალ და ზეგ ხელოვნურ ბარიერებს შეუქმნის, რადგან უშუალო კონკურენტები არიან. ეს ეკონომიკის განვითარებას აფერხებს, — ამბობს სამშენებლო კომპანია „არსის“ გენერალური დირექტორი, მენაშენეთა ასოციაციის წევრი თორნიკე აბულაძე.

— კომერციული ბანკებს, რომელთაგან წარმოების განსავითარებლად საჭირო ფინანსური სახსრების მიღების უმთავრესი წყაროა, საქართველოში მეტად ძლიერი პოზიციები აქვთ, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ძალიან ბევრ სფეროში მათთვის ეგრეთ წოდებულ არაპროფილურ აქტივებს ფლობენ, ამ დარგებში ისინი ამა თუ იმ ბიზნესმენთა უშუალო კონკურენტები გამოდიან.

აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკებისგან პროფილური აქტივების აუცილებლად გამიჯვნაა საჭირო, ისინი ნებისმიერი ბიზნესისთვის პარტნიორები და არა კონკურენტები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ის პრობლემა, რომელზეც ბატონი თორნიკე აბულაძე ლაპარაკობს, წესითა და რიგით უკვე კარგა ხნის გადაწყვეტილი უნდა იყოს. ამის საფუძველს კი 2014 წელს კომერციული ბანკებისგან არაპროფილური აქტივების იურიდიული გამიჯვნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ ამ მხრივ ზოგიერთმა დიდმა კომერციულმა ბანკმა ფორმალური იურიდიული ნაბიჯები გადადგა, შემდგომ პროცესი შეჩერდა, არადა, სამშენებლო კომპანიის თავკაცის თქმით, ეს არ უნდა ყოფილიყო ერთგვარად ერთჯერადი აქცია.

ჩვენი მხრივ კი იმასაც გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ ჩვენში კომერციულმა ბანკებმა არაპროფილური აქტივები წლების მანძილზე „აგროვეს“, მათი იურიდიულად გამიჯვნა კი, არსებითად, სამომხმარებლო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის კლიმატის შექმნას ხელს არსებითად, არაფრით უწყობს. ამის მიზეზი, მარტივია: იურიდიულად გამიჯნული ბიზნესი ძველებურად კომერციული ბანკის „ფრთის ქვეშ“ რჩება, მის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს და მისივე ნდობით აღჭურვილ პირთა მიერვე იმართება, ამდენად, კრედიტის გამცემი დაწესებულების საკონკურენტო პოლიტიკაში მსესხებლისთვის სასიკეთო ცვლილებების მოლოდინსაც კი არ ქმნის.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ მიმართულებით არა დეკორატიული, არამედ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა ეროვნული ეკონომიკის განვითარების გზაზე ეს აშკარად ხელოვნური წინააღმდეგობა ერთხელ და სამუდამოდ დაიძლიოს, რომელსაც ხეირი მხოლოდ ერთი მუჭა ხალხისთვის მოაქვს.

— არსებითად, ჩვენი კომპანია საქართველოს საბანკო სექტორთან ერთად გაიზარდა, კომერციული ბანკები ჩვენი პარტნიორები იყვნენ, დღესდღეობით, კი კონკურენტები ვართ, — თქვა თორნიკე აბულაძემ. — როგორც კი ჩვენ კვლავ პარტნიორები გავხდებით, სახელმწიფოსთვის უფრო მეტი სიკეთის გაკეთების შანსი გვექნება.

ბატონ თორნიკე აბულაძის სიტყვების კომენტარს, ვფიქრობთ, ბევრი კომენტარი არ სჭირდება, ვინაიდან ეს არა მარტო სამშენებლო დარგს ეხება, რომელიც საქართველოში, ტრადიციულად, ერთ-ერთი მძლავრია და მუდამ მოწინავე იყო, არამედ უფრო ნაკლებად ძლიერ, გაცილებით ინოვაციის დარგებს, რომელთა განვითარება აუცილებლად პრიორიტეტი უნდა იყოს. ამ საკითხის არსებითი, საქმიანი განხილვა და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღება, უწინარესად, ეროვნული ბანკის პრეროგატივაა, თუმცა კი მასში აქტიური მონაწილეობა საქართველოს პარლამენტმაც უნდა მიიღოს, რაც, არსებული ინფორმაციით, უახლოეს ხანებში მოხდება.

ოთარ ტურაგელიძე

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს

„საქართველოს **თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს პირველი ქვეითი ბრიგადის მე-16 უზრუნველყოფის ბატალიონის, სამედიცინო ასეულის ფარმაცევტის, კაპრალ მარიკა გელაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულის ოჯახს.**

კაპრალი მარიკა გელაძე გუშინ დილით გორში, 112-ის სამაშველო ბრიგადამ, საკუთარ სახლში გარდაცვლილი აღმოაჩინა. გარდაცვალების მიზეზი სავარაუდოდ ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა. მიმდინარეობს ექსპერტიზა, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით. საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი იძიებს.“

ჩამორთმეულია უაქციზო კონიაკი

შემოსავლების **სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს აღმოსავლეთის განყოფილების ოფიცრების მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული სასაქონლო ზედნადებების მონიტორინგის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად, სასაქონლო ზედნადებების გამოწერის ფაქტებთან დაკავშირებით, შესაძლო დანაშაულის ნიშნები გამოვლინდა.**

კერძოდ, ერთ-ერთი ფიზიკური პირის მიერ ტრანსპორტირებული საქონლის გადამოწმების შედეგად, სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის (0.5-ლიტრიანი 15 ბოთლი კონიაკი) აქციზური მარკის გარეშე ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა. რომლის საბაზრო ღირებულებამ საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ექსპერტიზის განყოფილების დასკვნის მიხედვით, 1350 ლარი შეადგინა.

საქონელი მოქალაქეს უსასყიდლოდ ჩამოერთვა.

რაჭაში შველი მოკლეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შველზე ნადირობის მორიგი ფაქტი გამოავლინეს.

სოფელ ლიხეთში, მოქალაქე ბუხუტი მეტრეველმა დაურეგისტრირებელი სანადირო თოფით მოკლა შველი.

მის გარდა შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა კიდევ სამი მოქალაქე — კარლო ლობჯანიძე, სოსო ფოჩხიძე და ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭის თანამშრომელი გიორგი ტოროშელიძე.

ბრაკონიერი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, თუმცა უარყოფს, რომ ხსენებული სამი მოქალაქე მასთან ერთად ნადირობდა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს სამი არარეგისტრირებული და ერთი სხვის სახელზე რეგისტრირებული სანადირო თოფი. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ 5000 ლარი შეადგინა. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ამბროლაურის რაიონულ სამმართველოში.

ქვეყანა: საქართველო
პროექტის დასახელება: ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი (ხულო-გოდერძის მონაკვეთი)
სესხის ნომერი: 962

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ტიპი	პრეკვალიფიკაციისთვის მოწვევა
სტენდერო წინადადების ნომერი	BARP/CW/ICB-01
სტენდერო წინადადების აღწერა	**ბათუმი (ანგისა) – ახალციხე (ს-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის (ლოტი 1 ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ0+000 – კმ29+372) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები**
განცხადების ენა	ინგლისური
წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა	14 მარტი, 2017
ადგილობრივი დროით	15:00
საკონტაქტო ინფორმაცია:	
ორგანიზაცია/დეპარტამენტი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სახელი	ნუგზარ გასვიანი
თანამდებობა	თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი	ალ. ყაზბეგის გამზირის №12
ქალაქი	თბილისი
რეგიონი	
საფოსტო კოდი	0160
ქვეყანა	
ელ-ფოსტა	info@georoad.ge
ვებ-გვერდი	www.georoad.ge

დეტალური ინფორმაცია

კონკრეტული შეტყობინება შესყიდვის შესახებ
პრეკვალიფიკაციისთვის მოწვევა

საქართველო
ბათუმი (ანგისა) – ახალციხე (ს-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის (ლოტი-1 ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ0+000 – კმ29+372) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები.
ICB No.: BARP/CW/ICB-01
სესხი No.: 962

საქართველომ მიიღო სესხი ქუვეითის არაბთა ეკონომიკური განვითარების ფონდიდან ბათუმი-ახალციხის გზის პროექტის (ხულო-გოდერძის მონაკვეთის) განსახორციელებლად. სესხიდან მიღებული თანხის ნაწილი მოხმარდება **BARP/CW/ICB-01** ხელშეკრულებას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს კონტრაქტორების/ფირმების პრეკვალიფიკაციას **ბათუმი (ანგისა) – ახალციხე (ს-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის (ლოტი-1 ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ0+000 – კმ29+372) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოებისათვის.** მოსალოდნელია რომ სტენდერო მოწვევა მომზადდება 2017 წლის მაისში.

დაინტერესებულ უფლებამოსილ აპლიკანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და პრეკვალიფიკაციის დოკუმენტის გაცნობა შეუძლიათ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (ქვემოთ იხილეთ მისამართი) 10 საათიდან 17 საათამდე. დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ პრეკვალიფიკაციისთვის სრული დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე უფასოდ (ა) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში.

აპლიკანტის წარმომადგენელს კომპაქტ დისკზე ჩაწერილი დოკუმენტაცია გადაეცემა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფისში სამუშაო საათების დროს ან დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონულად. აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი განცხადება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ინფო გეროად.გე და მოთხოვნის შემდეგ დოკუმენტაცია გადაეგზავნება ელექტრონულად იმეილზე. <u>თუმცა ამ შემთხვევაში თავად აპლიკანტს ეკისრება დოკუმენტაციის წარმატებით მიღების პასუხისმგებლობა.</u>

აპლიკაციები პრეკვალიფიკაციისთვის წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქული კონვერტებით ქვემოთ მითითებულ მისამართზე **2017 წლის 14 მარტის 15 საათისთვის ადგილობრივი დროით** და უნდა იქნას გარკვევით მითითებული **„პრეკვალიფიკაციისთვის აპლიკაცია - ბათუმი (ანგისა) – ახალციხის (ს-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის (ლოტი-1 ხულო-გოდერძის უღელტეხილი კმ0+000 – კმ29+372) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოებისათვის, ბათუმი-ახალციხის გზის პროექტის ფარგლებში პრეკვალიფიკაციის *No.: BARP/CW/ICB-01*".**

აპლიკანტებს არ შეუძლიათ აპლიკაციების წარმოდგენა ელექტრონულად.

დამქირავებლის მისამართია მხოლოდ აპლიკაციის წარმოსადგენად:
ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ნუგზარ გასვიანი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ქალაქი: თბილისი
საფოსტო კოდი: 0160
ფაქსი: (+995 32) 237 66 03
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

Country: Georgia
Project Name: Batumi-Akhaltsike Road Project (Khulo-Goderdzi Section)
Loan Info.: 962

General Information	
Notice Type	Invitation for Prequalification
Borrower Bid Reference	BARP/CW/ICB-01
Bid Description	REHABILITATION/RECONSTRUCTION WORKS OF BATUMI (ANGISA) – AKHALTSIKHE (S-1) SECONDARY ROAD KHULO – ZARZMA SECTION (Lot-1 Khulo-Goderdzi Pass km0+000 – km29+372)
Language of Notice	English
Deadline for Application Submission Date	14-Mar-2017
Local Time	15:00
Selected category codes for product to be procured	**No. Category Code Description Primary**
Contact Information on Advertisement	
Organization/Department	Roads Department of Georgia
Name	Mr. Nugzar Gasviani
Title	Deputy Chairman
Address	12, Al. Kazbegi Ave.
City	Tbilisi
Province/State	
Postal Code	0160
Country	Georgia
Email	info@georoad.ge
Website	www.georoad.ge

Detailed Information for Advertisement

SPECIFIC PROCUREMENT NOTICE
Invitation for Prequalification

Georgia
Batumi-Akhaltsike Road Project (Khulo-Goderdzi Section)
REHABILITATION/RECONSTRUCTION WORKS OF BATUMI (ANGISA) – AKHALTSIKHE (S-1) SECONDARY ROAD KHULO – ZARZMA SECTION (Lot-1 Khulo-Goderdzi Pass km0+000 – km29+372)
ICB No.: BARP/CW/ICB-01
Loan No.: 962

Georgia has received a loan from the **Kuwait Fund for Arab Economic Development (KFAED)** toward the cost of the *Batumi-Akhaltsike Road Project (Khulo-Goderdzi Section)*, and it intends to apply part of the proceeds of this loan to payments under the contracts for **BARP/CW/ICB-01).** The **Roads Department** of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia intends to prequalify contractors and/or firms for ***REHABILITATION/RECONSTRUCTION WORKS OF BATUMI (ANGISA) – AKHALTSIKHE (S-1) SECONDARY ROAD KHULO – ZARZMA SECTION (Lot-1 Khulo-Goderdzi Pass km0+000 – km29+372).*** It is expected that invitation for bid will be made in **May, 2017**.

Interested eligible Applicants may obtain further information from and inspect the prequalification document at the **Roads Department of the MRDI** (address below) from 10:00am to 17:00pm. A complete set of the prequalification document in ***English Language*** may be obtained by interested Applicants free of charge (a) on the submission of a written application to the address below.

The document will be provided to the representative of an Applicant on a CD at the office of Roads Department of Georgia during the office hours or alternatively the PQD can be obtained electronically. The applicants may submit a written application described above to the following e-mail address: i and upon request, the PQD will be sent to the applicant electronically, through e-mail; but in case of electronic submission, <u>**all responsibility of successful receipt of the documents lies solely with the applicant.**</u>

Applications for prequalification should be submitted in sealed envelopes, delivered to the address below by ***14th March 2017, 15:00 Local Time*** and be clearly marked ***"Application to Prequalify for REHABILITATION/RECONSTRUCTION WORKS OF BATUMI (ANGISA) – AKHALTSIKHE (S-1) SECONDARY ROAD KHULO – ZARZMA SECTION (Lot-1 Khulo-Goderdzi Pass km0+000 – km29+372) Under Batumi-Akhaltsike Road Project (Khulo-Goderdzi Section, Invitation for Prequalification No.: BARP/CW/ICB-01."***

Applicants <u>shall not</u> have the option of submitting their Applications electronically.
For **application submission purposes only,** the Employer's address is:
12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Attention: Mr. Nugzar Gasviani
Street Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
City: Tbilisi
Postal code: 0160
Country: Georgia
Electronic mail address: <u>info@georoad.ge</u>
Web-page: <u>www.georoad.ge</u>

საქმე № 1/10-2017

ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 6 თებერვალი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ვარლამ კანკავა**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 20 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხე ვარლამ კანკავას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 23 იანვარს შპს „ნოვა კრედიტსა“ და ვარლამ კანკავას შორის დაიდო №011412695 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ნოვა კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 1400 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

2014 წლის 23 ოქტომბერს №011412695 ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ვარლამ კანკავას ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ვარლამ კანკავას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ვარლამ კანკავა რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ვარლამ კანკავას (პირადი №29001004889) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ვარლამ კანკავას განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ვარლამ კანკავას ეცნობოს, რომ 2017 წლის 6 მარტს 12:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ვარლამ კანკავას მიმართ.

5. ვარლამ კანკავას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲢᲐᲑᲐᲢᲐᲫᲔ

საქმე № 1/05-2017

ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 6 თებერვალი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **დავით გორგოძე, გოგა გორგოძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 6 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხე დავით გორგოძისა და გოგა გორგოძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 30 მაისს შპს „ნოვა კრედიტსა“ და დავით გორგოძეს შორის დაიდო №051311932 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ნოვა კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 2500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 30 ნოემბერი.

2013 წლის 30 მაისს შპს „ნოვა კრედიტსა“ და გოგა გორგოძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით გორგოძეს სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ისე მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გოგა გორგოძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით გორგოძესა და გოგა გორგოძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დავით გორგოძე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, მისი სხვა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე გოგა გორგოძე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე დავით გორგოძესა (პირადი №60002001269) და გოგა გორგოძეს (პირადი №01019070475) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

10. დავით გორგოძესა და გოგა გორგოძეს განემარტოთ, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე დავით გორგოძესა და გოგა გორგოძეს ეცნობოთ, რომ 2017 წლის 6 მარტს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით დავით გორგოძისა და გოგა გორგოძის მიმართ.

13. დავით გორგოძესა და გოგა გორგოძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხეებს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲢᲐᲑᲐᲢᲐᲫᲔ

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

გამარჯვება ბონუს-ქულით

ბელგია-საქართველო 6:31

საქართველოს მორაგბეთა ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა გადაწყვიტა, წლევანდელ ტურნირებში ახალგაზრდები გამოსცადოს და 2019 წლის მსოფლიოს თასისთვის ქვეყნის ნაკრებს ღირსეული ცვლა მოუმზადოს. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, რომ „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ წლევანდელი გათამაშების სასტარტო მატჩში, რომელიც ბრიუსელში „მომცრო ეიზელზე“ გაიმართა, ბელგიელთა წინააღმდეგ ერთბაშად ოთხმა ახალწვეულმა ითამაშა: თორნიკე მატარაძემ, სოსო ბეკოშვილმა, გიორგი ჭყოიძემ და გიორგი ცუცქირიძემ. გადახალისებული შემადგენლობის მიუხედავად, „ბორჯღალოსნებმა“ შესანიშნავად ითამაშეს, დიდი სხვაობით გაიმარჯვეს და ბონუს-ქულაც დაიმსახურეს.

ანგარიში მე-12 წუთზე საჯარიმო დარტყმით კვირიკაშვილმა გახსნა, რომელმაც ამ შეხვედრაში 99-ე კეპი მიითვალა. ათი წუთის შემდეგ თხილაიშვილმა ლელო გაიტანა, ხოლო კვირიკაშვილმა გარდასახა — 10:0. მერე კოშაძემ და კვირიკაშვილმა ანგარიშში სხვაობა 17 ქულამდე გაზარდეს, საბოლოოდ კი „ბორჯღალოსნებმა“ 31:6 გაიმარჯვეს.

მატჩის შემდეგ მილტონ ჰეიგმა თქვა: **„მახსოვს ბელგიაში პირველი სტუმრობა. მაშინდელთან შედარებით, უკეთესად ვითამაშეთ. პირველ ტაიმში ჩვენი ნაკრები დომინირებდა. მეორე ნახევრის დასაწყისში ოდნავ მოვდუნდით, მაგრამ მალევე დავბრუნდით თამაშში. ამჯერად წამყვანი მოთამაშეები დავასვენეთ და ბევრ ახალგაზრდას მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. ჩვენ ამ ტურნირის მოქმედი ჩემპიონები ვართ და, ცხადია, რომ ტიტულის შენარჩუნება გვინდა“.**

რაც შეეხება „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ პირველი ტურის სხვა მატჩებს, სენსაცია მოხდა გერმანიაში — მასპინძლებმა ფავორიტი რუმინეთი დაამარცხეს — 41:38. ალემანებს კარპატელთათვის ბოლოს 70 წლის წინათ მოუგიათ. ესპანელებმა შინ რუსებს სძლიეს — 16:6.

ლაშა დიდია

◎ ფორსმაჟორი

გროზნიმ „დინამო“ დატოვა

12 თებერვალს ღამით, ოჯახური პირობების გამო, „დინამო თბილისის“ მთავარმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ შეკრება დატოვა და თურქეთიდან სამშობლოში გაფრინდა. უკრაინელი სპეციალისტი ვეღარ გააგრძელებს „დინამოში“ მუშაობას.

შექმნილ ვითარებაზე კომენტარი კლუბის სპორტულმა დირექტორმა ლევან სალუქვაძემ გააკეთა.

„ამ ეტაპზე მომავალი მწვრთნელის შესახებ სიახლე არაფერია. დაიწერა ესპანელ ალექს გარსიაზე, მაგრამ დარწმუნებით ვამბობ, რომ „დინამოდან“ მას არავინ შეხმიანებია. საერთოდაც, ამ ეტაპზე არცერთ მწვრთნელს არ დავკავშირებივართ, თუმცა, შესაძლოა, დღეს რაღაც საკითხები გაირკვეს“, — განაცხადა სალუქვაძემ.

გიორგი ზოთაძე

◎ ძიუდო

დიდი სლემის ოთხი მედალი

საუდის არაბეთის ნაკრების წევრ ალი მრაშის აჯობა, მერე პარიზის ტურნირის ყველაზე მაღალრეიტინგიანი ბულგარელი მოჭიდავე ივაილო ივანოვი ჩამოიშორა გზდან, სამ წუთში შიდოთი გასცდა უნგრელ ატილა უნგვარს, მეოთხედფინალში ფრანგ ბაპტისტ პიერის მეორე წუთის დასაწყისში ეფექტური ილეთით მოუგო, ნახევარფინალში ტურნირის კიდევ ერთ მასპინძელ პაპე დუდუ ნდიაის ვაზარით სძლია, ფინალი კი ჰოლანდიელ ფრანკ დე ვიტისთან „ოქროს დროში“ ვაზარით დათმო.

ვარლამ ლიპარტელიანმა ახალ წონაში — 100 კილოგრამში პირველად იჭიდავა. საუდის არაბეთის ნაკრების წევრი სულთან მანია წუთსა და 17 წამში დასცა ბეჭებზე, რუსეთის ნაკრების წევრ ადლან ბისულთანოვსაც დამაჯერებლად აჯობა, მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან, იაპონელ კენტარო იიდასთან დამარცხდა, დამამშვიდებელში გერმანელ კარლ-რიჩარდ ფრეის და ჰოლანდიელ მიხაელ კორელს სძლია და მესამე ადგილი დაიკავა. ასპარეზობის პირველ დღეს მსგავს წარმატებას ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და ვაჟა მარგველაშვილმა (66) მიაღწიეს. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა პარიზის ტურნირში ვაჟთა შორის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში (53 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა) მე-5 ადგილი დაიკავა. ქართველი ძიუდოისტები პარიზში დარჩებიან, ერთობლივ სანაკრებო წვრთნას გამართავენ და იქიდან გერმანიაში გაემგზავრებიან — 24-26 თებერვალს დიუსელდორფის გრან პრიზე იჭიდავებენ.

გივი გაგუა

◎ ფარიკაობა

მოხმალავეებმა ასპარეზობა დაასრულეს

ბულგარული პლოვდივი 1-8 მარტს 17 და 20-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მზადებისა და ნაკრების წევრთა შერჩევის მიზნით თბილისის საფარიკაო დარბაზში დაიწყო ამ ასაკის მოფარიკავეთა საქართველოს პირველობა. სარბიელზე პირველები მოხმალავეები გავიდნენ.

კვარცხლბეკი

გოგონები. **17-წლამდელები.** 1. მარიამ აფციაური (თბილისი), 2. ნინი ნიქაბაძე (ზესტაფონი), 3. თამარ ჩარკვიანი (ქუთაისი), ანასტასია ჩიქოვანი (თბილისი); **20-წლამდელები.** 1. ლიკა ჯიჯიეიშვილი, 2. მარიამ აფციაური, 3. ანა აფრასიძე (სამივე — თბილისი), თამარ ჩარკვიანი (ქუთაისი).

ვაჟები. 17-წლამდელები. 1. ნიკა ჭეიშვილი, 2. ვახტანგ არჩვაძე (ორივე-თბილისი), 3. ცოტნე ხომერიკი, გიორგი მერკვილაძე (ორივე-ქუთაისი); **20-წლამდელები.** 1. ნიკა შენგელია (თბილისი), 2. ვაჟა რეჭია (ქუთაისი), 3. ნიკა ჭეიშვილი, ოთარ გიორგაძე (თბილისი).

ევროპის პირველობაზე უმცროს ასაკში გამოვლენ მარიამ აფციაური, ნინი ნიქაბაძე, თამარ ჩარკვიანი, ნიკა ჭეიშვილი, ვახტანგ არჩვაძე და გიგა კაკაურიძე, ხოლო 20-წლამდელებში — ლიკა ჯიჯიეიშვილი, ანა აფრასიძე, ნიკა შენგელია და ვაჟა რეჭია.

თამაზ პატარიძე

სურათზე: **ნიკა შენგელია** (მარცხნივ) და **ვაჟა რეჭია.**
ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ინტერნეტიდან

ლარისა რიკელმე და გაღმაუბნელი მჟავე ვანო

სამწუხაროდ, ცხოვრება ძველებურ ვიდეოკასეტას არ ჰგავს, რომ წლები უკან გადავახვიოთ და წარსული უკან ამ გზით მოვიტოვოთ. ეს ყველაფერი კარგად უწყის ცნობილმა მოდელმა და პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების მზემ და მთვარემ — ლარისა რიკელმემ, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის.

წლების უკან გადახვევაზე რა გითხრათ და, ლარისა თურმე ერთობ საინტერესო ფოტოსესიაში მონაწილეობს, რომელიც მზის შუქს მიმდინარე წლის მარტში იხილავს. ამ ფოტოსესიაში ეს ჩვენი მრავლისმქმნელი ლარისა თურმე თინეიჯერი გოგონასავით იქნება გამოწკეპილი და ჩაცმული.

როგორც გაღმაუბნელი მჟავე ვანო ვერ გახდება ენცო ბეარზოტი, ისე ლარისასგან ვერ მივიღებთ უბიწო ქალიშვილს, მაგრამ ასეთი ყოფის ქალს ახალგაზრდული სიცქვიტის ამბიცია რომ აქვს — ეს უკვე ნამეტნავად მნიშვნელოვანი ამბავია. ეს მინიმუმ იმას ნიშნავს, რომ ლარისა კიდევ კარგა ხანს არ მოგვასვენებს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩოგბურთი

ზონაში ადგილი შეინარჩუნეს

ეკატერინე
გორგოძე

ტალინში გამართულ ფედერაციის თასის გათამაშებაში პირველი ევროაფრიკული ზონის 14 ქვეყნის ქალთა ნაკრები გუნდები იბრძოდნენ ზედა ეშელონში დასაწინაურებელი ორი საგზურისთვის. საქართველოს ნაკრებმა (კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) A ჯგუფში ორივე შეხვედრა დათმო: ჯერ ავსტრიასთან წააგო 1:2; ეკატერინე გორგოძე-ჯულია გრაბხერი 7:5, 6:3; სოფიო შაფათავა-ბარბარა ჰაასი — 4:6, 1:6; ოქსანა კალაშნიკოვა, სოფიო შაფათავა-ჯულია გრაბხერი, ბარბარა ჰაასი — 3:6, 5:7, მერე პოლონეთთან დამარცხდა: კატარჟინა პიტერი-ეკატერინე გორგოძე — 5:7, 6:2, 6:4; მაგდა ლინეტე-სოფიო შაფათავა 7:5, 6:4; წყვილებში კი უმოტივაციო პაექრობის გამო მაგდალენა ფრეჩი და პაულა კანია შაფათავა-კალაშნიკოვას დუეტს არ გამოუცხადდნენ და წაგება ჩაეთვალათ. ზონაში დასარჩენად ჩვენები D ჯგუფის ბოლოადგილოსან ისრაელის გუნდს დაუპირისპირდნენ და 2:1 დაამარცხეს: სოფიო შაფათავა იულია გლუშკოსთან ვერაფერს გახდა — 4:6, 6:2, 2:6, ეკატერინე გორგოძემ დენის ხაზანიუკს სძლია — 6:4, 4:6, 7:5, ხოლო წყვილებში კალაშნიკოვამ და გორგოძემ იულია გლუშკოსა და შელი კროლეცკის მოუგეს — 6:4, 4:6, 6:3 და ამ გამარჯვებით საქართველოს ქალთა ნაკრებმა პირველ ზონაში ადგილი შეინარჩუნა.

მაია ტაბიძე

◎ მედიცინა

ეს საშინელი სნეულებანი

ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად გვესმის ახალი, ხალხისთვის მანამდე უცნობი, გაურკვეველი წარმომავლობის ავადმყოფობის შესახებ, რომლებსაც საშინელი შედეგები მოყვება. თურმე არსებობს უამრავი სნეულება, რომელიც ადამიანს უბრალოდ კი არ კლავს, არამედ ნელ-ნელა ახეიბრებს. მათ შორის, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უაღრესად საშიშია, კერძოდ:

• **ყბის ნეკროზი.** საბედნიეროდ, ეს სნეულება მრავალი წლის წინათ გაქრა. მის შესახებ მხოლოდ ისაა, ცნობილი, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ასანთის წარმოებაში დასაქმებულები თეთრი ფოსფორის ზემოქმედებას განიცდიდნენ, ეს ძალიან ძლიერი მომწამვლელი ნივთიერებაა, რომელიც ყბების საშინელ ტკივილს იწვევს, გარკვეული დროის შემდეგ, ყბები, უბრალოდ ლპებოდა, დიდი ოდენობით დაგროვილი ფოსფორისგან კი ისინი სიბნელეში ანათებდნენ კიდეც!

• **აკრომეგალია.** ეს სნეულება მაშინ წარმოიშვება, როცა ჰიპოფიზი სიმაღლის ჰორმონს ჭარბი ოდენობით გამოიმუშავებს. ეს ავადმყოფობა, როგორც წესი, კეთილთვისებიანი სიმსივნეებისგან დაზარალებულ ადამიანებს ეყრებათ. აკრომეგალია არა მარტო დიდი სიმაღლით, არამედ წინ წამოწეული შუბლით, ასევე კბილების ერთმანეთისგან დიდი დაშორებებით ხასიათდება.

• **კეთრი.** ესაა მედიცინისთვის ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დაავადება, რომელსაც კანის საფარის დამზიანებელი ბაქტერია იწვევს. კეთრით დასნეულებული ცოცხლად ლპობას იწყებს, ავადმყოფობა თავდაპირველად სახეს, ხელ-ფეხსა და გენიტალიებს აზიანებს. იმის მიუხედავად, რომ ავადმყოფს კიდურები რჩება, სამაგიეროდ ხელებისა და ფეხების თითებს კარგავს, სახის ნაწილი, უფრო ხშირად ცხვირი ირღვევა, რომლის ადგილას საშინელი სანახავი ღრმული ჩნდება. ამასთან, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ საშინელია ასევე ხალხის ძირითადი მასის კეთროვნებისადმი დამოკიდებულება — ყველა დროში მათ მუდამ ერიდებოდნენ, ისინი საზოგადოებიდან ირიყებოდნენ. თანამედროვე განათლებულ მსოფლიოშიც კი ისინი იზოლირებულ დასახლებებში ბინადრობენ.

• **ყვავილი.** ამ ავადმყოფობით დასნეულებისას კანი მტკივნეული მუწუკების გამონაყარით იფარება. ეს ავადმყოფობა იმითაცაა საშინელი, რომ უზარმაზარ ნაიარევებს ტოვებს, ამიტომ, კაცი ამ სნეულებას თუ გადაურჩა კიდეც, მთელ ტანზე მათი კვალი რჩება.

ყვავილი დიდი ხნის წინათ გაჩნდა — სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ ამ სნეულებით ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ავადდებოდნენ, რასაც არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მუმიები მოწმობენ. ასევე ცნობილია, რომ ყვავილი მოხდილი ჰქონდათ ისეთ ისტორიულ პირებს, როგორებიც არიან ჯორჯ ვაშინგტონი, აბრაამ ლინკოლნი, იოსებ სტალინი.

(გაგრძელება იქნება)

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* **ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.**

კაკაოს ფასი დაეცა

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე კაკაოს ფასი 2013 წლის მინიმუმამდე **დაეცა და მისმა ფასმა ტონაზე 42 052 შეადგინა.**

რაც შეეხება ევროპას, ლონდონის ბირჟაზე კაკაოს ფუჩერსების ფასი ტონაზე 1 687 ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ფასის გაიაფების მიზეზი კი კარგი მოსავალია, რომელიც კოტ-დ'ივუარსა და განაში დაფიქსირდა.

ხსოვნა

ცოტნე კუციას ტკივილიანი გახსენება

ტკივილზე უნდა დავწერო, უზომოდ დიდ ტკივილზე, რომელიც მხოლოდ ჩემი არ არის... სიყვარუზე უნდა ვწერო, რომელიც ძალიან ბევრ კარგ ადამიანს ეკუთვნის... იმ მონატრებაზე უნდა ვწერო, რომელიც მარტო მე არ მენატრება... ის მოგონება უნდა მოვიგონო, რომელიც ყველას უნდა, რომ მოგონება არ იყოს... იმ მძიმე ცხოვრების ტვირთს უნდა შევეხო, რომელიც თითოეული ჩვენგანის სატარებელია.... სიცარიელეზე უნდა ვწერო, რომელიც ყოველდღიურობაში ლანდად დაგვყვება... უნდა დავწერო, რომ გავიგეთ უშენოდ ცხოვრების მწარე გემო... ისიც უნდა დავწერო, რომ უშენოდ მაგრამ მაინც შენთან ერთად ვცხოვრობთ, გავდივართ შენთან ერთად ცხოვრების გზას... უნდა დავწერო თუ როგორ ვცხოვრობთ ყველა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ყველას შენზე უსასრულო ფიქრი გვაერთიანებს... მოგონებები კადრებად ეცვლებიან ჩვენს ფიქრებში ერთმანეთს და ყველა ვცდილობთ, გვახსოვდე ისეთი საინტერესო, როგორიც იყავი... თუმცა არა მგონია ვინმეს დაავიწყდეს ეს მტკივნეული სიყვარული და მონატრება... იმასაც დავწერ, რომ ჩვენი ცხოვრება გრძელდება... გრძელდება ოღონდ შენთან ერთად... შენ კი ჩვენთან ერთად აგრძელებ ცხოვრებას... პირობას გაძლევ დიდხანს იცოცხლებ, ჩვენ ხომ ბევრნი ვართ... კიდევ შევხვდებით!!! შენებურად გაგვიღიმე...

მეგობრები

სანთელი

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი ოჯახის ახლობელი, კეთილშობილი და შესანიშნავი პიროვნება, ბატონი

რაჟდენ გეგელიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის მშობლებს, ქალბატონ ნანასა და ბატონ ვაჟას, ოჯახსა და ახლობლებს.

გურამ, ბენო, ირაკლი ქაშაკაშვილები, ალფრედ გაგნიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ ქაშაკაშვილი

და ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ამირან და მარინა ქაშაკაშვილებს ძმის გარდაცვალების გამო. დაკრძალვა თერჯოლაში, 16 II, ხუთშაბათს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1972 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა თანაკურსელი

თემურ კაპანაძე

და თანაუგრძნობენ მის დას, თინათინს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1972 წლის კურსდამთავრებულები იზიარებენ თანაკურსელის სპარტაკ ქობულიას მწუხარებას ძმის

აკაკი ქობულიას

გარდაცვალების გამო.

შვილები ალექს, ამირან, დოდო, ეთერ, ვენერა, მარინე, ქეთინო, ელგუჯა სუარიშვილები, და მეწყინა ქავთარაძე, მძახლები ნათელა გელაშვილი, ნოშრევან მამუკელაშვილი, უახლოესი ნათესავების სახელით ნანა ჭიჭინაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოფელ ხორხის უკანასკნელი მოჰიკანი, ჩინებული ფერმერი, რძის პროდუქტების საუკეთესო მეწარმე, კდემამოსილი და კომუნიკაბელური ქალბატონი

თამარ ლეგას ასული ქავთარაძე-სუარიშვილი

დაკრძალვა 16 II, სოფელ ხორხში, დუშეთის რაიონი.

ნოვა კრედიტი NOVA CREDIT

№ 13.02.2016 ვ4-01

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცშა „ნოვა კრედიტის“ დირექტორის

მელორი ასათიანის მიმართვა.

მადონა დორეული (პ/ნ 31001041650) (მსესხებელი, უზრუნველყოფის მესაკუთრე) მცხოვრები: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი „თეთრიწყარო“ ი.სონღულაშვილის ქ. №1, ჩიხი 1

მოგესალმებით ქ-ნ მადონა,

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტსა“ და თქვენს შორის 2015 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული ნომერი: № 111504928 საკრედიტო ხელშეკრულების და 2015 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული ნომერი: № 151219071 იპოთეკის და მასში შესული ცვლილებების შესახებ ხელშეკრულებების პირობები დარღვეულია, კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: №111504928-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 5 სექტემბრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2017 წლის 13 თებერვლის მდგომარეობით გერიცხებათ დავალიანება, რომელიც გადახდილი უნდა იქნას მაქსიმუმ ხუთი სამუშაო დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნით იპოთეკის საგნის რეალიზაციისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

მიკროსაფინანსო ორგანიზაცშა შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი

მელორი ასათიანი;

მინდობილი პირი, საკრედიტოს დირექტორი

გიორგი დოლიძე;

სესხზე პასუხისმგებელი ოფიცერი

მიხეილ მამუჭაძე.

ტელ: 2 15 15 15; 2 340 940

უკრაინამ რუსეთს უჩივლა

უკრაინამ რუსეთის წინააღმდეგ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სარჩელი შეიტანა. კიევი საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის შექმნას მოითხოვს, რომელმაც რუსეთის ქმედებები უნდა გამოიძიოს. საუბარია რუსეთის მიერ ყაზახეთსა და ყირგიზეთში უკრაინული ტვირთის ტრანზიტის შეზღუდვაზე, რის გამოც უკრაინული ექსპორტი ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში 38 პროცენტით შემცირდა. სავაჭრო კონფლიქტის დარეგულირების მოთხოვნით უკრაინულმა მხარემ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას გასული წლის ბოლოსაც მიმართა, თუმცა ორგანიზაციის წესდებით, მხარეებს კონფლიქტის დამოუკიდებლად მოსაგვარებლად 2 თვე მიეცათ. მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინის მოთხოვნა არ შეასრულა, კიევი შემდგომ პროცედურაზე გადავიდა.

კაშხალმა შეიძლება დაბა შეიწიროს...

კალიფორნიის შტატის ოროველას კაშხალში წარმოქმნილი ხვრელის გამო, ევაკუირებულ იქნა ათასობით ადამიანი.

უკანასკნელ დღეებში ხშირმა წვიმებმა კაშხლის წყლის ადიდება გამოიწვია. მაშინ როცა სპეციალისტებმა, წყლის დონის შემცირების მიზნით მოინდომეს წყალსადენის სახურავის გახსნა, შეამჩნიეს ხვრელი, რომლის მასშტაბის ზრდისა და წყალდიდობის რისკის შესაძლებლობის გამო, 16 ათასკაციან ოროველას დაბა-დასახლების მოსახლეობას რეგიონის დატოვებისკენ მოუწოდეს.

ევაკუაციის გადაწყვეტილების შემდეგ, მოსახლეობამ თავიანთი მანქანებით დაიწყო რეგიონის მიტოვება. გზებზე დიდი რიგები წარმოიქმნა.

ლოს-ანჯელესის გაზეთ ტაიმსის ცნობით, პრობლემის მოგვარებას დასჭირდება 100-დან 200 მილიონ დოლარამდე თანხა.

ისლამისტებმა უნიკალური ძეგლები გაანადგურეს

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ქალაქ პალმირას განადგურებული ისტორიული ძეგლების ამსახველი მასალა გაავრცელა. კადრები სირიის ისტორიულ ქალაქში 5 თებერვალსაა გადაღებული. პალმირას ისლამური სახელმწიფო უკვე 3 წელია, აკონტროლებს. ამ დროის განმავლობაში იუნესკოს მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ძეგლები ისლამისტებმა მიწასთან გაასწორეს.

შტაინმაიერი საგარეო პოლიტიკაში არ ჩაერევა

გერმანიის ახლად არჩეული პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყნის საგარეო საქმეებში არ ჩაერევა.

„ვფიქრობ, საგარეო საქმეებში ჩარევა ჩემი საქმე აღარ არის. ამიტომ, თავი უნდა ვაიძულო, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებში აქტივობა არ გამოვიჩინო," — განაცხადა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა დოიჩე ველესთვის მიცემულ ინტერვიუში.

პრეზიდენტად არჩევამდე შტაინმაიერი გერმანიის პირველი დიპლომატის პოსტს იკავებდა.

ფეხით სიარულის სიკეთე



უმეტესობა ჩვენგანი, ავტომობილისტების განსაკუთრებული „კასტისგან" განსხვავებით, ჩვეულებრივი ფეხით მოსიარულეა, რომელიც ფეხების მეშვეობით, სიარულის მეთოდით გადაადგილდება, ხოლო „საგზაო მოძრაობის წესებსაც" თუ ვერწმუნებით, ფეხით მოსიარულე — ესაა „სატრანსპორტო საშუალების გარეშე გზაზე მყოფი პირი, რომელიც მასზე სამუშაოს არ აწარმოებს".

ბევრისთვის, შესაძლოა, არც ისაა ცნობილი, რომ ფეხით მოსიარულის ქალაქში მოძრაობის სიჩქარე 4-დან 8 კილომეტრამდეა, ხოლო ავტოსაგზაო შემთხვევათა მეოთხედი სწორედ მათი მონაწილეობით ხდება, რომელთაგან ნახევარზე მეტი გზის სავალი ნაწილის დარღვევით გადასვლას უკავშირდება. თანაც საგზაო პოლიციის მიერ გამოწერილ ჯარიმას მხოლოდ ყოველი მეხუთე ფეხით მოსიარულე იხდის.

ფეხით სიარული და ველოსიპედით გადაადგილება კაცობრიობისთვის გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე ავტომანქანების გამონაბოლქვი გზების ოდენობის შემცირებაზე ზრუნვა, მიაჩნიათ ბრიტანელ მედიკოსებს. თანაც დღეში ისინი არანაკლებ 10 ათასი ნაბიჯის გადადგმის რჩევას იძლევიან და იმასაც დასძენენ, რომ ფეხით სიარული ამცირებს ალცჰეიმერის ავადმყოფობის განვითარების რისკს, კარგად მოქმედებს საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, ამაგრებს კუნთებს, ძვლებსა და სახსრებს, ანუ ართრიტის პროფილაქტიკაა.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ ფეხით მოსიარულეთა ჯანმრთელობისთვის მოკირწყლული ქუჩები გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე მოასფალტებული საფეხმავალი ტროტუარები, რომელთა გამო იზრდება სხვადასხვა სნეულების რისკი — დაწყებული ვენების ვარიკოზული გაფართოებიდან დამთავრებული არტერიული წნევის მომატებით.

ვაი ჭკუისაგან!



შვედმა მეცნიერებმა, რომლებმაც თავის ტვინის პირველადი სიმსივნის (გლიომის) სხვადასხვა ასაკის, სოციალური და ოჯახური მდგომარეობის მქონე ოთხი მილიონი კაცის შემთხვევა გააანალიზეს, აღმოაჩინეს, რომ ქალა ტვინის სიმსივნეები უფრო ხშირად უმაღლესი ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცებს წარმოეშვებათ, ვიდრე იმათ, ვისაც სრული, ან, სულაც არასრული საშუალო განათლება აქვთ მიღებული.

ანალოგიური ტენდენცია გამოვლინდა ქალებშიც: სწავლული ქალბატონებს გლიომა და მენინგიომა (ქალა ტვინის სიმსივნის კიდევ ერთი ნაირსახეობა) ნაკლებად განათლებულ თანატოლ მანდილოსნებზე 23 პროცენტით უფრო ხშირად აღენიშნებათ.

გარდა ამისა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თავის ტვინის კიბოს გაჩენის საფრთხე კაცის პროფესიულ მიღწევებზეც ყოფილა დამოკიდებული: ხელმძღვანელს ეს რისკი რიგით მუშაკზე გაცილებით მაღალი აქვს, რაც, როგორც ჩანს, გონებრივი დატვირთვის დონით აიხსნება.

ბავშვებმა უარის თქმის მიზეზი რომ იცოდნენ...

შვილისთვის გარკვეული ტიპის თხოვნების შესრულება ზოგიერთი მშობლისთვის ხშირად გარკვეულ პრობლემას ქმნის: შეუსრულოს თუ არა მას თხოვნა, თუ ჯობს ზედმეტად არ გაანებივროს ბავშვი, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე ძვირად ღირებულ ნივთს, ვთქვათ, კომპიუტერს ეხება?

არაფორმალური განათლების ინსტიტუტის დირექტორის დ. ვიცერის აზრით, თუკი ბავშვმა რაღაცაზე თქვა „მინდაო", ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მშობლებმა მისი სურვილი მაშინვე უნდა შეასრულონ — პატარამ უნდა კარგად შეიგნოს, რომ ცხოვრებაში ასე ადვილად არაფერი ხდება. მაგრამ, ისიცაა, რომ „არას" თქმაც სხვადასხვანაირად შეიძლება და სულაც არ არის საჭირო ამის გაკეთება „ხმაში ჩაღვრილი ლითონით". ბუნებრივია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვებსაც — „არა, იმიტომ რომ მე შენ „არა" გითხარი!" არ არის საჭირო, გაცილებით უკეთესია დაისვათ შვილი და უარის თქმის მიზეზი გასაგებად აუხსნათ — ეს იქნება საოჯახო სახსრების სხვა მისამართით მიმართვის აუცილებლობა, მათი უკმარისობა თუ სხვა რამ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6454; ევრო - 2.8290;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3237;
100 რუბლი - 4.4957; თურქული ლირა - 0.7165;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4742;
1000 სომხური დრამი - 5.4432.

ამინდი 14 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -5,	დღე +6
მთიანი რაიონები -	ღამე -7,	დღე +1
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +7
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +4
თბილისი:	ღამე -1,	დღე +3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge